



**სპეციალური მასწავლებელი, როგორც ინკლუზიური  
განათლების ერთ-ერთი მთავარი რესურსი და არსებული  
გამოწვევები**

კვლევის ანგარიში

თბილისი 2018

სპეციალური მასწავლებელი, როგორც ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი მთავარი  
რესურსი და არსებული გამოწვევები

კვლევის ანგარიში

წინამდებარე კვლევა საქართველოს მასშტაბით ჩატარებული პირველი კვლევაა, რომელიც  
მხოლოდ სპეციალური მასწავლებლის საკითხებს ეხება.

კვლევის ავტორები:

ნ.გოგიჩაძე

თ.ყაჭიშვილი

მ. უჯმაჯურიძე



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



ეს კვლევა შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. კვლევა მომზადდა არასამთავრობო  
ორგანიზაცია ა(ა)იპ „მშობელთა ხიდი“ მიერ, ა(ა)იპ „სამოქალაქო საზოგადოების  
ინსტიტუტის“ ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ა(ა)იპ  
„მშობელთა ხიდი“ და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის და ა(ა)იპ „სამოქალაქო  
საზოგადოების ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

This research has been produced with the assistance of the European Union. It is prepared by “Parent’s Bridge”,  
with financial support of “Civil Society Institute”. Its contents are the sole responsibility of “Parent’s Bridge” and  
do not necessarily reflect the views of the European Union and “Civil Society Institute”.

## სარჩევი

შეჯამება და ძირითადი მიგნებები .....	3
საკითხის აქტუალობა.....	8
კვლევის მიზანი.....	9
კვლევის დიზაინი .....	10
სპეციალური მასწავლებლის მოკლე ისტორია.....	10
კვლევის ფორმატი.....	14
კვლევის მონაწილეები .....	15
შედეგების მიმოხილვა .....	17
სპეციალური მასწავლებლის მიღწევები.....	17
მასწავლებელი მოსწავლე რაციონი .....	19
სამუშაო არეალი .....	21
სისტემური პრობლემები .....	23
მიმდებლობა .....	23
პოლიტიკა და რეგულაციები .....	24
სპეციალური მასწავლებლის როლი და მოვალეობები.....	28
სპეციალური მასწავლებლის მომზადების/გადამზადების პროცესი და ეტაპი.....	43
დანართი .....	53

ლაიტმოტივი:

„დააფასეთ ეს პროფესია“.

“მან აჩვენა თავისი საჭიროება“.

---

## შეჯამება და ძირითადი მიგნებები

„სპეციალური მასწავლებელი, როგორც ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი მთავარი რესურსი და არსებული გამოწვევები“ საქართველოს მასშტაბით ჩატარებული პირველი კვლევაა, რომელიც მხოლოდ სპეციალური მასწავლებლის საკითხებს ეხება და ეყრდნობა სფეროში არსებულ მწირ გამოცდილებას.

„2013-2015 წლებში, ინკლუზიური განათლების დანერგვის მიმართულებით ერთ-ერთი ინიციატივა სახელმწიფოს მხრიდან გახლდათ სპეციალური პედაგოგებისა და სხვა დამხმარე სპეციალისტების ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების სისტემაში. დღეს ყველა სკოლაში, სადაც თუნდაც ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეა, არსებობს სპეციალური პედაგოგი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის პროცესში ჩართულობას<sup>1</sup>“.

სპეციალური მასწავლებლის პროფესიის მიმართ მოთხოვნები საგანმანათლებლო სისტემაში ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული, სკოლის ადმინისტრაცია არ არის გარკვეული საკუთარ მოვალეობებში. ამასთან, ვითარების აღქმას ართულებს დასაქმებული კადრების სიმცირე, მათი დაბალი კვალიფიკაცია, სსსმ მოსწავლეთა საჭიროების მრავალფეროვნება, სასწავლო რესურსების ნაკლებობა და მიდგომების არათანმიმდევრულობა.

დღესდღეობით, სკოლაში დასაქმებული სპეციალისტების უმრავლესობისათვის ეს პოზიცია ერთგვარი პირველი პლაცდარმის როლს ასრულებს გამოცდილების დაგროვების პროცესში. თავად ეს პროფესია ამ სახით

---

<sup>1</sup> ჭანტურია რ., გორგოძე ს., ჩხაიძე თ., მოსიაშვილი თ. და ს. ჯანაშია. 2016;

საქართველოსთვის ახალგაზრდაა. სკოლაში დასაქმების მსურველი ახალგაზრდები მარტივად მოდიან ამ პოზიციაზე სამუშაოდ, მაგრამ ასევე მარტივად ტოვებენ მას. ამ სამსახურს ტოვებენ ე.წ. „კარგი“ კადრებიც, რადგან სკოლაში მათ აღიქვამენ „დამხმარე“, ტექნიკურ პერსონალად, რაც გამოწვეულია მათი სამტატო სტატუსითა და დაბალი ანაზღაურებით.

თავად სფეროს განვითარებას აბრკოლებს პროფესიული ზრდის მოთხოვნებისა და შესაძლებლობების არარსებობა, ასევე სამუშაო რესურსების, ადგილობრივი კვლევებისა და ინოვაციური მიდგომების სიმცირე. იმ დიდი პასუხისმგებლობის ფონზე, რომელსაც მშობლები აკისრებენ და პროფესიული ღირებულებები კარნახობენ სპეციალურ მასწავლებლებს, ამ პოზიციაზე ადამიანები კარგავენ მოტივაციას და ხდება მათი პროფესიული გადაწვა.

წინამდებარე კვლევამ გამოავლინა ერთი მხრივ ინკლუზიურ განათლებაში არსებული სირთულეების გამოვლენის საჭიროება და მეორე მხრივ, შესაბამისი რეაგირების ხერხების სიმწირე. ყველა მონაწილე მხარე ითხოვს მონიტორინგის განხორციელებას ინკლუზიური სწავლების ხარისხის უზრუნველსაყოფად და თანხმდება, რომ სფერო საჭიროებს განვითარებას. ამ პროცესში გადამწყვეტია ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით სკოლაში არსებული ვითარების შესწავლა და სწავლებაში მონაწილე მხარეების გაძლიერება.

**მთავარი გამოწვევა:** ამჟამად საგანმანათლებლო სისტემაში ვლინდება ერთგვარი „ღირებულებითი წუნი“ და ორმაგი სტანდარტები, რაც თანმიმდევრული მოთხოვნების გატარებისთვის საჭირო რესურსების და ქმედებათა სიმტკიცის ნაკლებობაში აისახება.

საჯარო სკოლებში სპეციალური მასწავლებლისა და ინკლუზიური განათლების გაძლიერებასთან მიმართებით შესაძლოა გამოვიყოს რეკომენდაციები სამ დონეზე:

I. **მაკრო დონეზე** მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ საგანმანათლებლო სისტემის ინკლუზიური განათლების საყოველთაობის არათანმიმდევრული

ხელშეწყობა: ის ერთი მხრივ ახდენს მრავალფეროვნების მხარდაჭერისა და შესაბამისი პირობების უზრუნველყოფის სავალდებულოობის დეკლარირებას, მაგრამ მეორე მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შექმნილ ერთიან სტრატეგიაში (2017-2021) არ გამოყოფს ამ მიმართულებით გადასადგმელ სავალდებულო ნაბიჯებს და შესაბამისად, ეს საკითხი ამ მიმართულებით დამუშავებას საჭიროებს.

აუცილებელია შემუშავდეს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი. აღნიშნული დოკუმენტი დიდ დახმარებას გაუწევს სპეციალობისადმი თანმიმდევრული მოთხოვნების შექმნას და უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამისი პროგრამების ჩამოყალიბებას.

საქართველოში სპეციალური მასწავლებლის სტანდარტი უკვე 8 წელს ითვლის. თავად სპეციალობა „სპეციალური მასწავლებელი“ ინგლისურენოვანი „Special Teacher“-ის ანალოგია. ჯერ-ჯერობით პროფესიათა რეესტრში არ არსებობს სპეციალური მასწავლებლის მახასიათებელი, სადაც განსაზღვრული იქნება აღნიშნული სპეციალობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც ახლად შექმნილი მასწავლებლის თანამედროვე დარგობრივი მახასიათებლების პარალელური უნდა იყოს. ის ასევე ხელს შეუწყობს სპეციალობისადმი თანმიმდევრული მოთხოვნების შექმნას. აღნიშნული დოკუმენტის დამუშავების შემადგენელი კომპონენტი უნდა იყოს სპეციალური მასწავლებლის სპეციალიზაციის განსაზღვრა და ამ მიმართულებათა განვითარების კონცეფციის შემუშავება.

სპეციალური მასწავლებლის დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების ჩამოყალიბება დაკავშირებულია სპეციალური მასწავლებლის განვითარების სქემის დასრულებასთან, რომლის მონახაზიც უკვე არსებობს, მაგრამ არ ხდება მისი გასაჯაროება და განხილვა.

მაკრო დონეზე უკვე არსებობს „ინკლუზიური განათლების რეგულირების წესი“, რომელიც გულისხმობს სკოლის შიგნით და ასევე მულტიდისციპლინურ

გუნდთან მიმართებით საქმიანობის გადანაწილებასა და დეტალურ აღწერას, თუმცა ეს დოკუმენტი არ არის საჯარო და სამი წელიწადია არ ხდება მისი სისტემაში დამტკიცება და ამოქმედება.

მასწავლებლის განვითარების სქემისა და „ინკლუზიური განათლების რეგულირების წესის“ გადაკვეთა უნდა მოხდეს ხარისხის გაუმჯობესებისათვის შესაბამისი მონიტორინგის და ზედამხედველობის ფორმების გააზრებაში, რაც მიმდინარე განათლების ერთიანი სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია.

ამასთან, დასამუშავებელია საგანმანათლებლო სისტემის სხვადასხვა ინსტიტუციების თანამშრომლობის საკითხი, როგორც გამოცდილების შექმნის და გაზიარების, ასევე კვლევების წარმოების შესაძლებლობის მხრივ.

სპეციალური მასწავლებლის მოთხოვნების და სისტემაში მისი სტატუსის განსაზღვრა აისახება სახელფასო განაკვეთზე და შესაბამისად, კადრების გადინებას შეასუსტებს, რადგან შეიქმნება პროფესიული განვითარების პირობები და სპეციალიზირების გაღრმავების მოტივაცია.

სკოლებისათვის რეალური ავტონომიურობის მინიჭება ერთ-ერთი სისტემური კომპონენტია მაკრო დონეზე, რომელიც გამოიწვევს შემდგომ ცვლილებებს მეზო და მიკრო დონეზე. ავტონომიურობა ინოვაციური მეთოდოლოგიისა და აქტუალური პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებული პრაქტიკის დანერგვისა და კვლევების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი ბერკეტია, რაც თავის მხრივ ინკლუზიური სწავლების განვითარების დახვეწის წინაპირობაა.

**II. მეზო დონე** - თითოეული სკოლისათვის მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაცია კარგად ერკვეოდეს ინკლუზიური განათლების თავისებურებებსა და არსებულ გამოწვევებში, რათა ადექვატურად ახდენდეს სკოლის თანამშრომლებზე პასუხისმგებლობის გადანაწილებას და რესურსების მობილიზებას. ეს შექმნის თანამშრომლობით კლიმატს სკოლაში, რაც საწყისი ეტაპია თანამშრომლებს შორის ურთიერთნდობის ჩამოყალიბებისათვის. ასეთი ნდობა ხელს უწყობს გამოცდილების

გაზიარებისათვის მიმღებლობას და ახალი გამოცდილების შექმნისადმი ღიაობას. ყოველდღიურობაში ეს ნიშნავს, რომ სკოლის თანამშრომლები საუბრობენ არსებულ პრობლემებზე, ერთობლივად იძიებენ და ცდიან მათი გადაჭრის გზებს, ამისათვის მასწავლებლები გააზრებულად ერთვებიან კვლევებში და მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების საქმიანობაში.

**III. მაკრო დონეზე,** სისტემური ცვლილებები აისახება ინდივიდუალურად სპეციალური მასწავლებლის მომზადების ხარისხზე, რომელიც რელევანტური ხდება ამჟამად სკოლაში არსებული მოთხოვნებისადმი. ასეთი სპეციალური მასწავლებელი რჩება სკოლაში, რადგან თავს გრძნობს აღიარებულ და დაფასებულ სპეციალისტად სისტემაში და არის ინოვაციური სწავლების მეთოდების დანერგვაში მნიშვნელოვანი როლის შემსრულებელი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციაში“ “გონივრული მისადაგება“ ერთ-ერთი ცენტრალური ცნებაა. კონვენციის 24-ე მუხლში, რომელიც მთლიანად შშმ პირთა განათლებას ეხება, აუცილებელ „პაკეტში“ სსსმ მოსწავლეთა გონივრული მისადაგების ერთ-ერთ კომპონენტად იგულისხმება ინდივიდუალური საჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლისათვის მასწავლებლის ასისტენტისა და“ ტიუტორის“ აყვანა. საერთაშორისო პრაქტიკით, ამ რესურსების საჭიროების დადგენა ხდება მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების შედეგად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინურმა გუნდმა უნდა განსაზღვროს სსსმ მოსწავლისათვის ასეთი დახმარების საჭიროება, როგორც საჯარო-„ინკლუზიურ“ სკოლებში, ასევე ე.წ. „სპეციალიზირებულ“ სკოლებში. ასეთი მომსახურების შეთავაზება დაკავშირებული იქნება „ასისტენტის“, „ტიუტორის“ უფლება-მოვალეობათა განსაზღვრასთან, რათა კარგად გაიმიჯნოს სპეციალური მასწავლებლისა და „ასისტენტის“ სამუშაო ფუნქციები და პრაქტიკული



ვალდებულება, შეიქმნას შესაბამისი აღწერილობა და გამართლდეს მშობლის მოლოდინი.

ასეთ პირობებში საჯარო სკოლაში მოსწავლეს სთავაზობენ მისთვის მორგებულ ხარისხიან და განახლებად სწავლების მეთოდებს, რომელიც დამატებით გულისხმობს მშობლის გაძლიერებას, მისი რესურსების გააქტიურებასა და მაქსიმალურ გამოყენებას.

*„აუცილებელია შემუშავდეს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი. აღნიშნული დოკუმენტი დიდ დახმარებას გაუწევს სპეციალობისადმი თანმიმდევრული მოთხოვნების შექმნას და უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამისი პროგრამების ჩამოყალიბებას“.*

### საკითხის აქტუალობა

ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაიწყო 2005 წელს, საპილოტე სკოლების დაფუძნებით და ამ დროისათვის საქართველოში 4000-ზე მეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში სსსმ) მოსწავლეა აღრიცხული, რომელთა უმრავლესობა ინკლუზიურ განათლებაშია ჩართული.

საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის დეკემბერში მოახდინა გაეროს 2006 წლის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის“ რატიფიცირება. აღნიშნული დოკუმენტი ავალდებულებს სახელმწიფოს მიიღოს რეალური ზომები შშმ პირთა წინაშე არსებული ყველა ბარიერის დასაძლევად, მათ შორის ხარისხიანი ინკლუზიური განათლების დასანერგად. 2017-2021 წლების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიაც მიმართულია ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფისაკენ.

მიმდინარე სტრატეგიის თანახმად, განათლების სისტემის ამოცანა N1 არის „მაღალი ხარისხის ზოგადი განათლების თანაბარი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“.

ინკლუზიური განათლების დანერგვისთანავე საქართველოს საჯარო სკოლებში დასაქმდა ათეულობით სპეციალური მასწავლებელი, რამაც ამჟამად 1500 სპეციალურ მასწავლებელს გადააჭარბა, მაგრამ სპეციალური მასწავლებლის სტატუსის განსაზღვრა ჯერ კიდევ არ განხორციელებულა და კვლავაც ერთი-ერთი აქტუალური გამოწვევაა განათლების სისტემისათვის.

სისტემას სსსმ მოსწავლეთა სწავლება ძირითადად გადაბარებული აქვს სპეციალურად ამისათვის შექმნილი სპეციალური მასწავლებლის რგოლისათვის, მაგრამ მიუხედავად ამ დაკისრებული მოვალეობებისა სპეციალურ მასწავლებლებს არ აქვთ საშუალება იყვნენ ორიენტირებულები პროფესიულ განვითარებაზე, ვინაიდან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ ფარგლებში სპეციალური მასწავლებელი არ მოიაზრება. მიმდინარე რეფორმების ფონზე სპეციალური მასწავლებლის ხელფასი არ გაზრდილა და ისევ მხოლოდ 350 ლარია. სპეციალური მასწავლებლები ვერ სარგებლობენ იმ შეღავათებით, რითიც მასწავლებლის სტატუსის მქონე პირები საჯარო სკოლებში (მაგალითად, 40 დღიანი შვებულება, შრომითი ანაზღაურების ზრდის პერსპექტივა, ლიმიტირებული სამუშაო საათები და სხვა).

---

## კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენს საგანმანათლებლო სისტემაში არსებული სპეციალური მასწავლებლის პროფესიული კომპეტენციის განსაზღვრა, რომელიც გულისხმობს სტატუსს და ფუნქციებს და ამ მოვალეობის შესასრულებლად არსებული მომზადების/გადამზადების ხერხებს.

მკვლევარები აკეთებენ დაშვებას, რომ მოპოვებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება საქართველოში სპეციალური მასწავლებლის ინსტიტუციური

გაძლიერებისათვის, რაც ხელს შეუწყობს ხარისხიანი ინკლუზიური განათლების დანერგვას და დაეხმარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებული პრობლემების დაძლევაში.

---

### კვლევის დიზაინი

წარმოდგენილი კვლევა განხორციელდა 20 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წარმომადგენლის მონაწილეობით, აქედან 10 თბილისის, 5 დასავლეთ საქართველოს და 5 აღმოსავლეთ საქართველოს სკოლებიდან. კვლევისათვის გამოყენებული იქნა შერეული ფორმატი, თუმცა ძირითადი ინფორმაცია მოპოვებულია თვისობრივი სახით ფოკუს-ჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუების მეშვეობით.

რაოდენობრივი ინფორმაციის დაზუსტებისათვის გამოყენებულ იქნა თვით-ანგარიშის კითხვარები. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს სსსმ მოსწავლეების მშობლებმა, სპეციალურმა მასწავლებელმა და სკოლის ადმინისტრაციამ. კვლევას უძღვებოდა მკვლევართა ჯგუფი, პროცესს მართავდა პროექტის კოორდინატორი, რომელიც კონსულტაციებს გადიოდა კვლევის ექსპერტთან.

---

### სპეციალური მასწავლებლის მოკლე ისტორია

სსსმ მოსწავლეების სკოლაში შეყვანა დაიწყო 2005 წლიდან. ამ პროცესებთან მიმართებით პილოტურ სკოლებში გაჩნდა ინკლუზიის პროცესების ხელშემწყობი სპეციალისტების საჭიროება, რადგან საბჭოთა პედაგოგიკის მემკვიდრეობა - სეგრეგირებული სწავლება, ხელს არ უწყობდა სკოლის განვითარებას ამ მიმართულებით. სისტემისათვის სსსმ მოსწავლეების სწავლების ხელშემწყობი სპეციალისტი გახდა ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, რომელიც არის ტრენინგის საფუძველზე მომზადებული ან გადამზადებული კადრი. ამ დროს, საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით პილოტირებულ სკოლებში დასაქმებული სპეციალისტები ასრულებდნენ ლობისტების და მედიატორების ფუნქციას სკოლას, სსსმ მოსწავლესა და

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის. სპეციალური მასწავლებლები იყვნენ პიონერები, რომლებიც ემსახურებოდნენ ინკლუზიური განათლებისათვის პირველი ნაბიჯების გადადგმის ხელშეწყობას განათლების სისტემაში.

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში არასამთავრობო სექტორის, დონორებისა და საერთაშორისო ექსპერტების ხელშეწყობით მომწიფდა იდეა სრული ინკლუზიის შესახებ. ქვეყანაში მიმდინარე დეინსტიტუციონალიზაციის და ბავშვის კეთილდღეობის რეფორმის ფონზე სპეციალური სკოლები გადაკეთდა საჯარო სკოლებად და უარი ითქვა ინტეგრირებული კლასების არსებობაზე. ამგვარი რეფორმა ერთგვარად განპირობებული იყო „დეფექტოლოგიისაგან“ გადახვევის სურვილით. დეფექტოლოგიაზე, როგორც მოსწავლეთა სეგრეგაციულ და ნაკლოვანების ნიშნით გამორჩევაზე უარის თქმამ და ამ სპეციალობის სტიგმატიზაციამ, ზიანი მიაყენა „სპეციალიზირებული სწავლების“ პრაქტიკასა და თავად იდეასაც.

ამის პარალელურად, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში გაჩნდა უზუსტო ჩანაწერი „სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მასწავლებლის“ თაობაზე. კერძოდ, **ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის** 21<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტები, რომლის თანახმად, ასეთი შეიძლება იყოს მასწავლებელი და პირი, რომელსაც აგრეთვე გავლილი აქვს სპეციალური აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესითა და კრედიტების რაოდენობის შესაბამისად. შემდგომში, კერძოდ 2010 წლის დეკემბერში განხორციელდა ცვლილება კანონში და ეს ჩანაწერი შეიცვალა. კანონის ამჟამინდელ რედაქციაში გამოყენებულია ტერმინი „სპეციალური მასწავლებელი“ და განმარტებულია, როგორც მასწავლებელი, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს ასწავლის დაწყებით საფეხურზე და ხელს უწყობს

საგანმანათლებლო პროცესში მის ჩართვას დაწყებით, საბაზო ან საშუალო საფეხურზე<sup>2</sup>“.

კანონში 2015 წლის ნოემბერში განხორციელებული ცვლილების თანახმად, „ამ კანონის 21<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის მასწავლებელი<sup>3</sup> უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:

„ა) უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული განათლების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით) და გავლილი უნდა ჰქონდეს სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა;

ბ) უნდა ჰქონდეს სულ მცირე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და გავლილი უნდა ჰქონდეს სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა;

გ) უნდა ჰქონდეს მასწავლებლობის უფლება უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით და ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი გამოცდა;

დ) უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის ან განათლების მიმართულების დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და გავლილი უნდა ჰქონდეს სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა“.

---

<sup>2</sup> ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 21<sup>2</sup>, პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი;

<sup>3</sup> სპეციალური მასწავლებელი;

თუმცა, ამავე დროს კანონის გარდამავალ დებულებებში არსებული ჩანაწერი შესაძლებლობას იძლევა მასწავლებელმა 2021 წლის ბოლომდე ზემოაღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე დაიწყოს მუშაობა, კერძოდ:

„2021 წლის ბოლომდე მასწავლებლად მუშაობის დაწყების უფლება აქვს აგრეთვე ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიარა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“.

სკოლაში მიმდინარე ცვლილებებმა და ხარისხიანი სპეციალიზებული ცოდნის მქონე კადრების საჭიროებამ, მოგვიანებით გააჩინა ახალი რეგულაციის სტანდარტის სახით შექმნის საჭიროება. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების მიზანი იყო სისტემაში სპეციალური მასწავლებლის გაძლიერება და სფეროს განვითარება. სპეციალური მასწავლებლის სტანდარტი შემუშავდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. ეს იყო პროფესიის დამკვიდრებისათვის პირველი გარღვევა, სადაც უკვე ჩნდება სპეციალური მასწავლებელი, როგორც ტერმინი. არსებული სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი შედგება ორი ნაწილისგან:

(1) ზოგადი ნაწილი, რომელიც საერთოა ყველა სახის სპეციალური მასწავლებლისთვის და

(2) სპეციფიური ნაწილი, სადაც გამოყოფილია ოთხი სახის სპეციალური მასწავლებელი:

- ▶ საშუალო და მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებელი;
- ▶ ქცევის და ემოციური დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებელი;
- ▶ სმენის დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებელი;
- ▶ მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებელი.

ამგვარი დახარისხება ასახავს სისტემაში არსებულ ვითარებას, რადგან არსებობს სპეციალიზებული სკოლები/სკოლა-ინტერნატები ოთხივე სპეციალიზაციით, მიუხედავად ამ მიმართულებით სასწავლო პროცესის უწყვეტად შენარჩუნებისა, ასეთი სახის სპეციალიზაცია მაინც არ არის ასახული და ზოგადად სპეციალური მასწავლებლის არსებობა არ არის ჰარმონიზებული ზოგადი განათლების კანონთან. მიუხედავად იმისა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს სპეციალურ მასწავლებელს, როგორც მასწავლებლის თანამდებობის ერთ-ერთ სახეს, არსებული სამართლებრივი რეგულირების მიხედვით, სპეციალური მასწავლებლების სტატუსი არ არის გათანაბრებული სხვა მასწავლებლების სტატუსთან.

არსებული დისკრიმინაციული მიდგომა სპეციალური მასწავლებლების მიმართ უარყოფითად აისახება სსსმ მოსწავლეთა მიღწევებზე. 2017 წელს ამ მდგომარეობაზე რეაგირების მისაღებად „სპეციალურ მასწავლებელთა ასოციაციამ“ მოამზადა პეტიცია სქემაში ჩართვის მოთხოვნით. თუმცა პეტიციის მიღებას რეალური შედეგი ჯერ არ მოყოლია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ახალი მინისტრის - მიხეილ ჩხენკელის მხრიდან ვითარების კარდინალურად შეცვლის ნება იყო დეკლარირებული სპეციალურად ამ მიმართულებით განხორციელებულ შეხვედრაზე.

---

## კვლევის ფორმატი

კვლევა ჩატარდა შემჭიდროვებულ ვადებში, კალენდარული წლის ბოლოს. კვლევის მიმდინარეობას თან ახლდა ერთგვარი ტექნიკური სირთულეები, რომელთა გადალახვაც დიდი გამოწვევა იყო კვლევის ავტორებისთვის და შესაბამისად, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მონაცემების მოპოვებასა და ინფორმაციის დაზუსტების შესაძლებლობაზე.

კვლევის მონაწილეთა შესარჩევად გამოყენებულ იქნა ორი ტიპის შერჩევა. კერძოდ, თბილისის მასშტაბით ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა აქტიურ

მშობლებთან, იმის გათვალისწინებით, რომ დაგვეფარა სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლები. ასევე მოხდა მოსახერხებელი შერჩევის პრინციპით იმ სკოლებთან და სპეციალურ მასწავლებლებთან თანამშრომლობა, რომელთაც კვლევის ჩატარების დროისთვის ჰქონდათ სურვილი და შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ კვლევაში. კვლევის პროცესში გამოყენებული იყო ჩაღრმავებული ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი და ანკეტირება. ყველა მონაწილე ჯგუფის წარმომადგენლისათვის შეიქმნა შესაბამისი კითხვები და კითხვარები.

ჩაღრმავებულ ინტერვიუსა და ფოკუს ჯგუფისათვის იყო ნახევრად სტრუქტურირებული და ველზე მკვლევარი ახდენდა შეკითხვების დაზუსტებას რესპოდენტების საჭიროების შესაბამისად. დანართში წარმოდგენილია გამოყენებული კითხვები და კითხვარები.

### კვლევის მონაწილეები

კვლევა მიმდინარეობდა 20 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წარმომდგენლის მონაწილეობით, რომელთაგან 10 თბილისის, ხოლო 5 დასავლეთ საქართველოს და 5 აღმოსავლეთ საქართველოს სკოლას წარმოადგენდა. სულ რეგიონების და ჯგუფების შესაბამისად კვლევამ მოიცვა 83 ადამიანი.

ჩაღრმავებულ ინტერვიუებში ჩართული იყო 11 მონაწილე (იხ. ცხრილი 1):

**ცხრილი 1:**

მონაწილეები	თბილისი	ჯამი
მშობლები	7	7
სპეციალური მასწავლებლები	1	1
სკოლის ადმინისტრაცია	1	1



განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	ინკლუზიური განათლების განყოფილების ხელმძღვანელი	1
პროფესიული კავშირი	ორგანიზაციის ხელმძღვანელი	1

ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდა 35 ადამიანი, რომლებიც წარმოადგენდნენ მშობლებს და სპეციალურ მასწავლებლებს სამი რეგიონიდან (იხ. ცხრილი 2):

**ცხრილი 2:**

მონაწილეები	თბილისი	ქუთაისი	თელავი	ჯამი
მშობლები	0	15	9	24
სპეციალური მასწავლებლები	11	0	0	11
	11	15	9	35

ანკეტების საშუალებით მოხდა 37 მონაწილის მოცვა (იხ. ცხრილი 3):

**ცხრილი 3:**

მონაწილეები	თბილისი	ქუთაისი	თელავი	ჯამური
მშობლები	0	0	9	9
სპეციალური მასწავლებლები	0	5	3	8
სკოლის ადმინისტრაცია	12	5	3	20

	12	10	15	37
--	----	----	----	----

კვლევაში ასევე გამოყენებულია მკვლევარებთან და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განყოფილების უფროსთან, ქალბატონ ეკა დგებუაძესთან განხორციელებული თემატური განხილვები.

---

### შედეგების მიმოხილვა

მიღებული მონაცემების თემატურმა ანალიზმა გამოავლინა ძირითადი თემები, რომელიც დაჯგუფებულია შინაარსის მიხედვით და წარმოადგენს მონაწილეების გამონათქვამების ციტირებათა ლოგიკურ კომპილაციას.

სპეციალურ მასწავლებელთან დაკავშირებული თემატური ერთეულები იწყება მიღწევების დეკლარირებით, შემდეგ აერთიანებს შეხედულებებს მასწავლებელი/მოსწავლის რაციონის თაობაზე, განსაზღვრავს მისი სკოლაში საქმიანობის არეალს, უთითებს სისტემური ელემენტების როლზე სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აკონკრეტებს ფუნქცია-მოვალეობებს, აღწერს კოორდინირებულ მუშაობაში მონაწილეობის თავისებურებებს, აჟღერებს ინკლუზიური განათლების მიმართ არსებულ მოლოდინებს, გამოყოფს სპეციალური მასწავლებლის მომზადების/გადამზადების ხერხებს, აღწერს საჭირო რესურსებს, როგორც ადამიანურს, ასევე ტექნიკურს და ანაზღაურების საკითხს.

---

### სპეციალური მასწავლებლის მიღწევები

სასკოლო მიღწევებზე გვესაუბრნენ მშობლები. მათი შეხედულებები მოდის იმ მრავალფეროვანი ასპექტებიდან, რომელიც ახასიათებს ინკლუზიურ განათლებას.

მსჯელობის დაწყება შეიძლება ერთი შეხედვით ელემენტარული საკითხიდან, მაგალითად, როგორც არის ის ფაქტი, რომ მოსწავლე „მიდის სკოლაში“, და თითქოს ეს „შედეგი“ კი არ უნდა იყოს, არამედ პირობა მასწავლებლის მუშაობისათვის. თუმცა, დღევანდელ რეალობაში, სსსმ მოსწავლეთა დასწრების საკითხიც პრობლემატურია.

საგანმანათლებლო საქმიანობას ზოგიერთი მშობელი უფრო *ემოციური კლიმატის* თვალთახედვიდან უყურებს, ყურადღებას ამახვილებს სასკოლო კოლექტივის დამოკიდებულებაზე, რომ „ყველა ბავშვს დასდევენ სათუთად“, მნიშვნელოვნად მიიჩნევს საკლასო საქმიანობაში მონაწილეობას და თანატოლების მიმღებლობას: „იმდენად კარგია ჩართულობა, იმდენად კარგად ღებულობს კლასი“; „ბავშვები თვითონ ხომ კმაყოფილები მოდიან, უხარიათ. მშობლებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე სირთულეების მიუხედავად თავს თავდაჯერებულად გრძნობდეს“; „იმდენად იმუშავა, რა თქმა უნდა, ვერ მეტყველებს ისე, როგორც სხვები, მაგრამ ახლა მას უკვე აღარ აქვს ამის დარდი და არ ფიქრობს, რომ ვინმე დასცინებს“; „ისე კარგად ლაპარაკობს, გაჩერდით სანამ არ ეტყვი, არ ჩერდება“.

არიან მშობლები, რომლებიც კარგად ხედავენ „შიდა სამზარეულოს“ და ტექნიკურ კომპონენტებშიც არიან გარკვეული. შესაბამისად, ისინი გამოყოფენ პროფესიონალიზმის ასპექტებს, როგორც არის საქმის ორგანიზება და მოსწავლის საჭიროების განსაზღვრა: „კარგად შეუსრულა“ და „ორგანიზება გააკეთა ამ ინდივიდუალური გეგმის შექმნის, თან პედაგოგებსაც ისე დაადგა თავზე, რომ ჩემს თვალწინ აიღეს მიზნები გრძელვადიანი, მოკლევადიანი. ისინი ამუშავა და ეს მომეწონა, ამის მოლოდინი არ მექონდა. გაკვეთილზე რომ მიდის იმ კონკრეტულ პედაგოგთან, ვიცი უკვე ეს პედაგოგი რაზე მუშაობს“; „ის გამოუვიდა, რომ მან კარგად დაინახა, სად სჭირდება ლ.-ს მიხმარება და სწორად მიმართა მისი შესაძლებლობები“; „მეც აღმოვაჩინე ჩემი შვილის შესაძლებლობები“ - აცხადებენ მშობლები.

*მშობლები მოწადინებული არიან, რომ მასწავლებლებს ჰქონდეთ მიღწევები მოსწავლეებთან. მათი ერთი კატეგორია დეტალებსაც უღრმავდება და იცის რა ხდება ყოველდღიურობაში. “კარნახს წერდნენ, გამოვიყვანე დაფასთან და ბავშვებს კარნახობდა, და ეს იმდენად სასიამოვნო იყო დ.-სთვის, ბავშვებსაც ეს ისე მოეწონათ, რომ რა ვიცი, რაღაცა თამაშის ფორმას იძენს და სიამოვნებს გაკვეთილზე ყოფნა” - აცხადებს პედაგოგი. მშობლებისათვის სასწავლო პროცესი და კონკრეტული შედეგები უფრო ხელჩასაჭილია. ზოგჯერ ეს არის ზოგადი ტენდენციის შესახებ კომენტარები: “სპეციალურმა მასწავლებელმა მოახერხა რომ ბავშვი ზის, შეაყვარა მას საგანი, მიჰერებს და როგორც, რა დონეზეც შეუძლია სწავლობს სიხარულით”, „ესეთი საშუალებებით აკეთებინებდა დავალებებს და უფრო მოტივირებული იყო ყველაფრის შესრულებაზე, რასაც ავალებდნენ“; “წინ და წინ წამოვიდა ბავშვი და ახლა სწავლობს“. მშობლები ასევე განიხილავენ ძალიან სპეციფიურ სწავლების მეთოდებსა და დაკავშირებულ საკითხებს: „სიტყვები, ბგერები ასწავლა მასწავლებელმა“; „ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჟესტურ ენას, ეს რომ არ ესწავლა, ვერ ისწავლიდა, ვერც კომუნიკაციას დაამყარებდა. ჟესტური ენის მეშვეობით ყველა საგანს ძლევს და სპეციალური მასწავლებელი ეხმარება სახელობო და წინა-პროფესიული უნარების განვითარებაში.“*

ჩვენი კვლევის მონაწილე მშობლები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ინფორმირებულობით, ასევე სკოლის ცხოვრებაში მონაწილეობის ხარისხით, სფეროსთან შეხების გამოცდილებით. შესაბამისად, ზოგიერთი მშობელი კმაყოფილია, ზოგიც ნეიტრალურია, დამფრთხალია, შემტევია ან მომთმენია, მაგრამ ყველას სურვილი საერთოა - „**ინკლუზია გამოვიდეს**“.

---

### **მასწავლებელი მოსწავლე რაციონი**

მიმდინარე სტრატეგიის დოკუმენტში მასწავლებლის საყოველთაო დეფიციტის განხილვაში არ ხვდება სპეციალური მასწავლებლების რაოდენობის

სიმცირე. მიზეზი ისაა, რომ საგანმანათლებლო სისტემაში სპეციალური მასწავლებლის პროფესიის როლი არ არის სრულყოფილად გააზრებული. შესაბამისად, ვერ მოიძებნა მასწავლებლის საათობრივი დატვირთვისაგან განსხვავებული დასაქმებისა და ანაზღაურების ფორმატი. ამ ეტაპზე სისტემა სკოლას აძლევს ფინანსურ დანამატს და კარნახობს 1/6-ზე სპეციალური მასწავლებელი/მოსწავლის დაფინანსების რაციონს.

თუმცა, წინამდებარე კვლევისათვის შერჩეულ რეგიონებში წარმოდგენილი განაწილების განხილვა ცხადყოფს, რომ შემოთავაზებული რაციონის დანერგვა სკოლაში ვერ ხორციელდება. 2018 წლის იანვრის მონაცემების თანახმად, რეალურად თბილისში 2482 სსსმ მოსწავლეა იდენტიფიცირებული, რომელთაც ემსახურება 146 სპეციალური მასწავლებელი, რაც 1/17 რაციონს ასახავს. თელავში ვითარება უკეთესია, კერძოდ, 156 მოსწავლეზე 10 სპეციალური მასწავლებელი მოდის და ეს 1/16-თან დაახლოებული განაწილებაა. ხოლო ქუთაისში 286 მოსწავლეა და 26 სპეციალური მასწავლებელი, რაც 1/11 რაციონს უდრის. ამავდროულად, სისტემაში ინკლუზიის ხელშემწყობი სხვა პროფესიების, როგორცაა მეტყველების თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, მობილობის წარმომადგენლების კატასტროფული სიმცირის ფონზე, ეს რგოლი შეიძლება ითქვას, ერთადერთია საქართველოს მასშტაბით, რომელიც ფლობს გარკვეულ სპეციალიზაციას სსსმ მოსწავლეთა სწავლების თაობაზე. მდგომარეობას ართულებს კადრების უწყვეტი ცვლა და გადინება, შესაბამისად კანონზომიერია, რომ ბოლო პერიოდში გახშირდა სსსმ მოსწავლეთა მშობლების დიდი ნაწილის უკმაყოფილების გამოხატვის შემთხვევები საჯარო სკოლების ინკლუზიური განათლების ხარისხის მიმართ.

პროგრამულად დაანგარიშებული რაციონის არაადექვატურობას ხედავენ მშობლები, ხოლო თავად პედაგოგები უღრმავდებიან განაწილების დეტალებს და აღნიშნავენ, რომ „2013 წლიდან ასე ავტომატურად არ უნდა იყოს მიბმული 6 ბავშვზე ერთი სპეციალური პედაგოგი“. ისინი აღნიშნავენ, რომ გასააზრებელია რაოდენობა და სირთულე. „გვყავს 24 სსსმ მოსწავლე, აქამდე ვმუშაობდით ორი სპეციალური

პედაგოგი, ახლა დაგვემატა კიდევ ერთი. გვყავს ერთი რთული ქცევის მოსწავლე რომელთანაც მიმამაგრეს ამ ბავშვთან მარტო მე. გამოდიოდა, რომ სანამ ახალი მოვიდოდა მე ვიყავი მარტო ამ ბავშვთან და დანარჩენი 23 ბავშვი ჩემს კოლეგასთან“ - აღნიშნავს სპეციალური მასწავლებელი.

მოსწავლის შესაძლებლობები, საჭიროებები და დრო, რომელიც იხარჯება დახმარების გაწევისათვის გადამწყვეტი კომპონენტები უნდა იყოს რაციონის განსაზღვრაში. სპეციალური პედაგოგი აღნიშნავს, რომ „ძალიან რთულია, რომ ერთმა პედაგოგმა იმუშაოს ექვს ბავშვთან. ახლა ჩემთან ერთი ბავშვია, რომელსაც მხედველობის პრობლემა ჰქონდა და სისტემატურად სჭირდებოდა შრიფტის გაზრდა. დროის ფაქტორიც არის აქ გასათვალისწინებელი, იმდენი თემა, მასალა და რამე იყო გასაკეთებელი, რომ თან მარტო იმასთან ხომ არ იქნები. დანარჩენ ბავშვებსაც ხომ უნდა მიაქციო ყურადღება. ამიტომ ერთი სპეც. პედაგოგი ექვს ბავშვთან ძალიან რთულია“. პედაგოგები თვლიან, რომ ხარისხიანი მუშაობა ვერ მოხერხდება თუკი ექვს ბავშვთან ერთი სპეციალური პედაგოგი მუშაობს, “საჭიროების შესაბამისად მუშაობს სპეციალისტი, თუმცა დაფინანსების სქემაში ეს არ აისახება, რომელიც მექანიკურად ახდენს კადრის მიზმას“ - აღნიშნავენ ისინი.

**„მოსწავლის შესაძლებლობები, საჭიროებები და დრო, რომელიც იხარჯება დახმარების გაწევისათვის გადამწყვეტი კომპონენტები უნდა იყოს რაციონის განსაზღვრაში“.**

---

### სამუშაო არეალი

12 წლიანმა გამოცდილებამ აჩვენა სპეციალური მასწავლებლის არსებობის საჭიროება, რადგან ის ასრულებს „თავის ფუნქციას“ ზოგადსაგანმანათლებლო

სკოლასთან მიმართებით და მოვალეობის შესასრულებლად ის დასაქმებულია, სხვადასხვა მიმართულებით, როგორცაა:

- ▶ კლასში;
- ▶ რესურს ოთახში;
- ▶ სპეციალურ/ინტეგრირებულ კლასში;
- ▶ დისტანციური სწავლება - შინ სწავლება;
- ▶ სპეციალური სკოლაში (რომელიც შინაგანაწესით არის საჯარო);
- ▶ მულტიდისციპლინური გუნდის წევრად.

წარმოდგენილი კვლევის ფარგლები, ჩვენ ფოკუსირებული ვართ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სპეციალური მასწავლებლის ფუნქციონირებაზე. მასწავლებლების გადმოცემით, მათი სამუშაო დრო ძალიან სწრაფად გადის მოსწავლეებსა და კლასებს შორის გადაადგილებაში. *”დაახლოებით ცხრის ნახევრიდან პირველ საათამდე ვართ გაკვეთილებზე, პირველი საათიდან ხუთის ნახევრამდე გამოგვყავს გაკვეთილებიდან რესურს ოთახში“* - აღნიშნავენ ისინი. ასევე ხაზს უსვამენ შემდეგს: *“ჩემი დასწრება კლასში და გამოყვანა რესურს ოთახში, არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ბავშვისთვის“*. *”რესურს ოთახი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი არის, რაღაც უნარების განვითარებისთვის, მაგრამ თუნდაც თუ ინდივიდუალურ დახმარებას უწევ, ჩემი გამოცდილებიდან უფრო მნიშვნელოვანია კლასში იყო და იქ იმუშავო, კლასში გავაძლიერო, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდ დროს მოითხოვს კლასში ყოფნა“* - გვიზიარებს მასწავლებელი.

დირექციის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჩვეულებრივ, სპეციალური მასწავლებლის დრო გადანაწილებულია კლასსა და რესურს ოთახს შორის. ადმინისტრაციის გამოკითხვიდან ირკვევა, რომ ძირითადად ეს გადანაწილება 50/50-ზეა, მაგრამ იცვლება სკოლების მიხედვით. კერძოდ, 90/10-დან დაწყებული და მოქნილი საჭიროების შესაბამისად. ყველა შესწავლილი სკოლის შემთხვევაში, ორივე კომპონენტი ყოველთვის შენარჩუნებულია.

---

## სისტემური პრობლემები

### მიმღებლობა

სსსმ მოსწავლის საჯარო სკოლაში მიღება ჯერ კიდევ გამოწვევას წარმოადგენს სისტემისათვის, რადგან ყველა მასწავლებელს თავისი ღირებულებიდან და კომპეტენციიდან გამომდინარე არ აქვს დადებითი პასუხი კითხვაზე “ჩემ გაკვეთილზე უნდა იჯდეს?!", რაც ნიშნავს იმას, რომ არ იცის ყოველი კონკრეტული მოსწავლის შემთხვევაში პასუხი კითხვაზე „შენ აქ რა გინდა?“. ამ ეტაპზე, მასწავლებელი ვერ ხედავს ინდივიდუალურ სწავლებას, როგორც საყოველთაო ორიენტირს და ეს მიაჩნია სისტემიდან თავის დაღწევის ნიშნად. *“შენ თუ არ გინდა, შვილო, სწავლა, მიიღე სტატუსი და გადაგიყვან კლასიდან კლასში“*. თუმცა *„შენ რომ მასწავლებელი ხარ და შენ რომ პასუხისმგებელი ხარ კლასში გაკვეთილის ჩატარებაზე და სწავლებაზე, ხომ უნდა იცოდე, ვინ არიან შენი ბავშვები, ანუ საქმე როგორ უნდა გააკეთო, როცა არ იცი შენი პასუხისმგებლობები და მოვალეობები, ვის უნდა ასწავლო, შენი სამიზნე ვინ არის“*.

საყოველთაო ინკლუზიური პოლიტიკის ფონზე, კითხვა ვინ და სად ისწავლის არ უნდა ჩნდებოდეს. თუმცა, დიფერენცირებული სწავლების მიმართ მზაობის საკითხი ჯერ კიდევ შესასწავლია. ჯერ-ჯერობით სკოლებში ისევ ვლინდება ნეგატიური დამოკიდებულება, *„წინასწარი განწყობები, სტიგმები“*, რადგან *„ქვეყანაში არ ჩანს მკაფიო პოლიტიკური ნება, რომ ყველა ბავშვი უნდა იყოს სკოლაში და თუ ბავშვს სჭირდება, სკოლა ყირაზე უნდა დადგეს.“*

ერთ-ერთმა სსსმ მოსწავლის მშობელმა ისიც აღნიშნა, რომ *„სპეც.-ები რომ არ იყვნენ მაგ ბავშვებს გააგდებდნენ სკოლიდანო.“*



---

## პოლიტიკა და რეგულაციები

დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით „აცდენაა ყველა დონეზე. სამინისტროში ვიკითხე, პასუხი ვერ გამცეს, სკოლის დირექციაში ვიკითხე, პასუხი ვერ გამცეს სპეც. პედაგოგებმა არ იციან, უფრო სწორედ, იციან სათავისოდ, ფიქრობენ რომ რთულია, რადგან ცოდნა არ აქვთ“. თუკი გვსურს ინკლუზიური განათლება შედგეს, „სამინისტრო პოლიტიკას უნდა ქმნიდეს. არა მარტო სამინისტრო, საერთოდ მთავრობას უნდა ჰქონდეს ინკლუზიაზე გაცხადებული ნება, ამაზე ყოველთვის უნდა ლაპარაკობდნენ, რომ ადამიანები მიეჩვიონ, რომ ამისკენ მივდივართ, ამას ხელი უნდა შევუწყოთ“. მაგრამ „მთავრობამ ვერ შექმნა სწორი პოლიტიკა, რომელიც მთელს ქვეყანაში, ყველა სკოლას მობილიზებულს გახდის რომ ინკლუზია განახორციელონ ადგილზე; მთავრობამ ვერ შექმნა მარეგულირებელი დოკუმენტები თუ ვინ, სად, როგორ და რა დონეზე უნდა მიეხმაროს ბავშვს ინკლუზიაში“. უფრო სწორედ, ასეთი დოკუმენტი შექმნილია, მაგრამ სამინისტროთა შორის თანამშრომლობის დეტალების დაურეგულირებლობის გამო მისი ამოქმედება შეჩერებულია.

ახალბედა სპეციალური მასწავლებლებლები, რომლებიც ამ პოზიციას იკავებენ სკოლაში და არ აქვთ შესაბამისი განათლება, ან მაშინაც კი თუ ასეთი აქვთ, თვლიან, რომ პირველი მერცხლები არიან და მთელი სისტემური სირთულეები მათ ატყდებათ. თანაც მათ მიმართ ხდება სტიგმატიზაცია, მასწავლებლებს არ უნდათ სპეციალურ მასწავლებლებთან თანამშრომლობა, რომ გამორჩეული არ იყოს. შესაბამისად, ისმის კითხვები მათი მხრიდან: „მე, როგორც სპეციალური მასწავლებელი სისტემას წინ აღვუდგე? დინების აღმა ვიმუშაო? იმას ჭკუა დავარიგო? იმასთან გავარკვიო? მე რა უფლებები მაქვს? რა კომპეტენცია? საკუთარი თავის პოზიციონირება როგორ მოვახდინო? იმდენად რთულია ეს ყველაფერი და ისეთ ძალისხმევას მოითხოვს!“

სკოლის შიგნიდან რომ შევხედოთ, რაზე დგას სპეციალური მასწავლებლის სტატუსი? არსებობს ინკლუზიური განათლების მხარდაჭერაზე მიმართული პროგრამული დაფინანსება, რომლის გამოყენებაც ადმინისტრაციას შეუძლია დამატებითი "ტექნიკური", სხვა კადრების დასაქირავებლად, რაც რეალობაში არის სწორედ 1/6 რაციონით სპეციალური მასწავლებლების ანაზღაურება. ამ მოდელის მიხედვით ინკლუზიური განათლება და მისი გამაძლიერებელი სპეციალისტიც, თითქოს გარედან დამატებული დროებითი რეალობაა და მხოლოდ „*იმათი საქმეა მათი ბავშვების მიხედვა*“.

არის შემთხვევები, როდესაც დასაქმებულმა „*სპეცებმა*“ არ იციან არსებული სისტემის შესაძლებლობა, როგორ მოხდეს შიდა რესურსების მობილიზება, ისეთი დოკუმენტაციის წარმოება, როგორცაა, ისე, შეხვედრის ოქმების გამოყენებისათვის ფუნქციური დატვირთვის მინიჭება, მულტი-დისციპლინური გუნდისთვის მონიტორინგის განხორციელების თაობაზე მიმართვა. არსებობს დოკუმენტი, რომელიც ასეთ დეტალებს განმარტავს სკოლის ყველა რგოლისათვის. ეს არის ე.წ. „*ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი წესი*“.

ამ წესის ამოქმედების საფუძველზე, გაცილებით ეფექტური იქნება როგორც სპეციალური მასწავლებლის, ისე მასწავლებლის საქმე. ახლა ეს როლები მკაფიოდ არ არის განსაზღვრული. პედაგოგი ფიქრობს, რომ „*სპეციალურმა პედაგოგმა უნდა იზრუნოს ბავშვზე, იმიტომ რომ მან რა იცის?! სპეც. პედაგოგი, ხომ იმიტომ გაჩნდა, რო მან უკეთ იცის!*“; „*მე არაფერ შუაში არ ვარ*“. პირველი პრობლემა მაშინ ჩნდება, როდესაც სკოლა ფიქრობს, რომ „*ეს ბავშვი სპეციალური პედაგოგისაა*“, სპეციალური პედაგოგიც იჯერებს, რომ „*ეს ბავშვი მისია, ფიქრობს რომ ეს მან უნდა აკეთოს, მან უნდა მიხედოს*“ და რომ „*მიხედოს, ამას უკვე სერიოზული ცოდნა-განათლება სჭირდება და არამხოლოდ ცოდნა-განათლება, არამედ გამოცდილებაც*“. სპეციალურ მასწავლებელს საკუთარი როლის შესასრულებლად „*მენეჯმენტის მხარდაჭერა სჭირდება, რომ ადმინისტრირების პროცესში მოხდეს პასუხისმგებლობის*

გადანაწილება. სპეციალური მასწავლებელი ახალი პერსონაა სკოლის სივრცეში და ახლის გაჩენა სკოლის სივრცეში ზოგადად რთულია“.

ერთი მხრივ, სპეციალური მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ „თუ სპეციალური მასწავლებელი გამიზნულად მუშაობდა, მიზანი სწორად იყო შერჩეული, მასწავლებლის წასვლამ არ უნდა იმოქმედოს ამ აქტივობის შესრულებაზე ან მიზნის მიღწევაზე, იმიტომ რომ გეგმა რჩება სკოლაში. მასწავლებელი თუ წავიდა, გეგმა რომელიც სპეციალურმა მასწავლებელმა და მასწავლებლებმა ერთად შეიმუშავეს, რჩება სკოლაში“. მაგრამ მეორე მხრივ, „მე ვგეგმავ ჩემს სამუშაოს, მაგრამ ეს არ არის კოორდინირებული ისე კარგად სხვების სამუშაოსთან, ნებისმიერ დროს შეიძლება რამე ისე ამოვიხტეს“ და მთელი ეს პროცესი აირიოს, რადგან „სკოლის ადმინისტრაციას ხედვაში თუ არ აქვს ინკლუზიური განათლების მხრივ რას აკეთებს, თუ დანერგვაში არ არის ჩართული და სამოქმედო გეგმაში არ აქვს გაწერილი, სპეცი. კი ამ მხრივ რაღაც ცვლილებებს აპირებს, რაც თითქმის შეუძლებელია“.

„ზოგადად, არა მარტო სკოლაში, ძალიან ეზედმეტებათ იმ ხალხს, რომელიც ტრადიციულად არის იქ და მიეკუთვნება იმ სივრცეს და ძალიან დიდი ძალისხმევა სჭირდება ახალს და ამ შემთხვევაში, ინკლუზიის მასწავლებელს რომ დამკვიდრდნენ, თავისი საჭიროება დაანახონ, თავისი ფუნქციები და მოვალეობები სწორად გააგებინონ სხვა პედაგოგებს და სწორი კომუნიკაცია შედგეს. ეს კავშირი პრაქტიკულად არ არის სკოლაში და შესაბამისად, სპეც. პედაგოგსაც ეშლებათ ხელი, თვითონ პედაგოგსაც და ბავშვი ხომ საერთოდ აღარავის აღარ ახსოვს.“

ორგანიზაციულ დაქსაქსულობას კიდევ უფრო ართულებს თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესისათვის სასწავლო პროგრამის ქმედუუნარობა. „პროგრამა აგებულია სამ-ოთხ ბავშვზე, რომელზეც არის წარჩინებულები, ასევე არის ჩვენი სსსმ მოსწავლე, რომელსაც „დავჩხავით“, რომ უნდა დაწერონ, რაღაცები გააკეთონ, შუაში ბავშვების 70% საერთოდ ყურადღების გარეშე არიან და ნელ-ნელა ავსებენ სსსმ მოსწავლეების რიგებს.“

ამასთან, სპეციალური მასწავლებლის საქმიანობასთან დაკავშირებული კიდევ ორი ასპექტი გამოიკვეთა. ერთი მხრივ, ეს არის სპეციალური სკოლა და მეორე მხრივ, ინტეგრირებული კლასი. ამ მიმართულებით ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული და გააზრებული პოლიტიკა, რადგან როდესაც მასწავლებლები ინტეგრირებულ კლასში არიან, კარგად ვერ ხვდებიან თავიანთ დანიშნულებას. შედეგად, თუკი ბავშვი ინტეგრირებულ კლასშია, უფრო მეტი სეგრეგაციით უნდა იყოს, ვიდრე ინკლუზიაში. ეს ის ბავშვები არიან, რომლებსაც ნაკლები შანსი აქვთ ინკლუზიის და პირიქით, შეიძლება სისტემამ უფრო მეტი იზოლაციისაკენ და სპეციალურ სკოლაში გადასვლისაკენ უბიძგოს. ამ პროცესში კი სპეციალური მასწავლებელი და მულტი-გუნდის წევრი უნდა იღებდეს მონაწილეობას.

სპეციალისტები და მშობლები მიიჩნევენ, რომ „*მთავრობამ ვერ შექმნა სწორი და მკაფიო პოლიტიკა, რომელიც მთელს ქვეყანაში, ყველა სკოლას მობილიზებულს გახდის, რომ ინკლუზია განახორციელონ ადგილზე; ვერ შექმნა მარეგულირებელი დოკუმენტები და ეფექტური მარეგულირებელი მექანიზმები, რომელიც ნათლად გამოყოფდა თუ ვინ, სად, როდის და რა დონეზე უნდა მიეხმაროს ბავშვს ინკლუზიაში*“.

შესაბამისად, ამ მომენტისათვის „*სისტემა არ არის გამართული. შედეგად ვიღებთ არაეფექტურ ინკლუზიას, რომელიც მხოლოდ ქალაქდება და თუ სადმე ეფექტურია, ძირითადად განპირობებულია იმით, რომ მშობელი არის თავიდან ბოლომდე აქტიურად ჩართული*“.

*„სპეციალისტები და მშობლები მიიჩნევენ, რომ „მთავრობამ ვერ შექმნა სწორი და მკაფიო პოლიტიკა, რომელიც მთელს ქვეყანაში, ყველა სკოლას მობილიზებულს გახდის, რომ ინკლუზია განახორციელონ ადგილზე; ვერ შექმნა მარეგულირებელი დოკუმენტები და*

ეფექტური მარეგულირებელი მექანიზმები, რომელიც ნათლად გამოყოფდა თუ ვინ, სად, როდის და რა დონეზე უნდა მიეხმაროს ბავშვს ინკლუზიაში“.

## სპეციალური მასწავლებლის როლი და მოვალეობები

### ვინ არის სპეციალური მასწავლებელი?

„ახალი პერსონაა სკოლის სივრცეში და ახლის გაჩენა, სკოლის სივრცეში და ზოგადად რთულია. იცით რა არის?! მე დაახლოებით ვხვდები რა ევალება სპეც. პედაგოგს, იცის როგორ დაინახოს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები, სიღრმისეულად ერკვევა შეზღუდულ შესაძლებლობებში, ბავშვებთან ურთიერთობაში, მათ განვითარებაში და მათთან მუშაობის ტექნიკებს ფლობს. მაღალკვალიფიციურია, როგორც მრჩეველი, რომელიც მუშაობს როგორც თვითონ ბავშვთან და ბავშვის ოჯახთან, ასევე პედაგოგებთან და მათ ასწავლის, როგორ უნდა იმუშაონ ბავშვთან, საერთოდ ეხმარება სისტემას, რომ ბავშვთან ურთიერთობა შეძლონ, ანუ სისტემა მოერგოს მოსწავლის საჭიროებებს.“

წარმოდგენილი მსჯელობა ასახავს საერთო დამოკიდებულებას სპეციალური მასწავლებლების მიმართ, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს სპეციალისტი სასკოლო ცხოვრების ყველა კომპონენტზე არის პასუხისმგებელი. შესაბამისად, ასეთი მოლოდინების გამართლება ძალიან რთულია და უკმაყოფილებისათვის საბაზის მიმცემი.

„... მე დაახლოებით ვხვდები რა ევალება სპეც. პედაგოგს, იცის როგორ დაინახოს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები, სიღრმისეულად ერკვევა შეზღუდულ შესაძლებლობებში, ბავშვებთან ურთიერთობაში, მათ განვითარებაში და მათთან მუშაობის ტექნიკებს ფლობს. მაღალკვალიფიციურია, როგორც მრჩეველი, რომელიც მუშაობს როგორც თვითონ ბავშვთან და ბავშვის ოჯახთან, ასევე პედაგოგებთან და მათ ასწავლის, როგორ უნდა იმუშაონ ბავშვთან,

საერთოდ ეხმარება სისტემას, რომ ბავშვთან ურთიერთობა შეძლოს, ანუ სისტემა მოერგოს მოსწავლის საჭიროებებს.“

### სკოლისადმი მოლოდინები მშობლების თვალთახედვით

„სკოლა მჭირდება იმისთვის, რომ ჩემი შვილი კლასში იჯდეს და იქ იყოს ჩართული თავის თანატოლებთან. სკოლაში სიარულის მიზანი, პირველ რიგში არის სოციალური ურთიერთობები, რომელიც მიეხმარება საგაკვეთილო პროცესში, რომ გაიხსნას და მიხვდეს, რომ ამ ბავშვებთან ურთიერთობა არ არის პრობლემა და გამოიტანოს ის, რაც იცის, გამოავლინოს თავი.“

მშობლების მოლოდინი სრულიად შეესაბამება ინკლუზიის არსს. თუმცა, სპეციალური მასწავლებლის მიმართ წაყენებული მოთხოვნები ასე ცალსახად არ უსახავს მათ ამ ამოცანას, რომ მხოლოდ მოსწავლის სოციალურ ინტეგრირებაზე იზრუნოს და თავად ასეთი ინტეგრირებაც საჭიროებს ერთიან სასკოლო მიდგომას.

### სპეციალური მასწავლებლის ფუნქციები

„სპეციალურ მასწავლებელს აქვს კომპეტენცია შეაფასოს სსსმ მოსწავლის აკადემიური, სოციალური, ქცევითი უნარები და დამოუკიდებლობის ხარისხი, იცის როგორ დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და შეუძლია მისი მონიტორინგი, იცნობს ჯგუფში მუშაობის პრინციპებს - ასეთი კვალიფიკაციის მქონე სპეციალურ მასწავლებლებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაუწიონ სპეციალურ სკოლებს<sup>4</sup>“.

---

<sup>4</sup> კვაჭაძე ჟ., არავიაშვილი მ. 2009, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი;

”2010 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვების“ ტექნიკური დახმარებით, შეიმუშავა და დაამტკიცა სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. სტანდარტის თანახმად, სპეციალური მასწავლებელი ჩართულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო გარემოს მოწყობაში, შეფასებაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, პასუხისმგებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან ინდივიდუალურ მუშაობაზე, საბაზო აკადემიური და სოციალური უნარების განვითარებაზე. სტანდარტის თანახმად, სპეციალური მასწავლებლების პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები საკმაოდ ფართო და მრავალმხრივია<sup>5</sup>“.

*ჩვენ მიერ განხილული „სპეციალური პედაგოგი არის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც ეხმარება პედაგოგს კონსულტირებით. ის ვალდებულია, რომ თავიდან ბოლომდე იცოდეს ბავშვების საჭიროებები, შეეძლოს შეფასება და ინდივიდუალური გეგმის დაწერა.“ „ყველა მასწავლებელს, სპეც. მასწავლებელთან ერთად უნდა შეეძლოს არა მხოლოდ წერა-კითხვის სწავლება, არამედ ქცევა და ურთიერთობები. ევალუბათ ყოველდღიური, ყოფითი უნარების განვითარება, რთული ქცევის მართვა“.*

სპეციალისტების განცხადებით, ყველას აქვს განსხვავებული ხელშეკრულება. „რასაც უნდა იმას უწერს დირექტორი და ის რომ არსებობს სტანდარტი და იქედან უნდა გამოვდიოდეთ, ეს არავის გაუთვალისწინებია“ - აღნიშნავენ ისინი. შესაბამისად, გამოდის, რომ „ბევრი ფუნქციის შესრულება გიწევს ცალ-ცალკე, როცა ერთდროულად მიმდინარეობს ექვსი ბავშვის სასწავლო პროცესი“ ეს რთული ამოცანაა.

---

<sup>5</sup> ჭანტურია რ., გორგოძე ს., ჩხაიძე თ., მოსიაშვილი თ. და ს. ჯანაშია. 2016;

სპეციალური მასწავლებლის, როგორც ცალკე ერთი სპეციალისტისადმი წაყენებული მოთხოვნები ასახავს სისტემაში კვალიფიციური კადრის ნაკლებობას და მცდელობას, რომ ერთმა სპეციალისტმა შეითავსოს მულტი-დისციპლინური გუნდის ფუნქცია, ან ერთზე მოხდეს სირთულეების გადამისამართება. ასეთი მიდგომა მიგვანიშნებს, რომ სკოლის სასწავლო კოლექტივს მოსწავლეთა საჭიროების ერთობლივი მოგვარების გამოცდილება არ აქვს, ამასთან სკოლის სისტემაც არ უწყობს ხელს ამგვარი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას.

მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოიყო 10 ფუნქცია, რომელსაც სპეციალური მასწავლებელი ასრულებს. კერძოდ, ესენია: ბავშვის დაკვირვება და შეფასება, გეგმარება, ინდივიდუალური მუშაობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგი, რეკომენდაციები და ანალიზი, მედიატორობა, მასალის ადაპტირება, სასკოლო კლიმატი, კოორდინირება და თანამშრომლობა.

### **1. ბავშვის დაკვირვება და შეფასება**

სპეციალურ მასწავლებელს უნდა შეეძლოს „კოგნიტური იქნება თუ მოტორული, ფუნქციური, ან/და სხვადასხვა სფეროს და მათი განვითარების შეფასება, მოსწავლის საჭიროებების გამოვლენა, ბავშვის მოსმენა, დაკვირვებითაც მოსმენა, იმიტომ რომ შეიძლება ვერბალურად სხვა რამეს ამბობდეს“.

### **2. გეგმარება**

აქ გამოიყოფა ორი კომპონენტი: სასწავლო პროცესის დაგეგმვა და საკუთარი დროის გადანაწილება. “მეთოდოლოგიურად სწორად უნდა დაიგეგმოს ბავშვის საგანმანათლებლო პროცესი, ძირითადად სპეც. პედაგოგებს უწევთ ხოლმე ამ მიზნების აღება, ინტერვენციის დაგეგმვა, კარნახი და მერე ამის დაწერა“.

სპეციალურ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს თავისი სამუშაო გრაფიკი, “მეტ-ნაკლებად თანაბრად განაწილებული ყველა მოსწავლეზე. კვირაში ერთხელ, ორ



კვირაში ერთხელ შედის, ყოველდღე არა, იმიტომ რომ სხვა ბავშვებიც არიან“; „ერთთან ვამთავრებ, გავრბივარ მეორესთან; მეორესთან ვამთავრებ, მივდივარ მესამესთან და ბოლოს არის მეოთხე, რომლისგანაც გამოვდივარ და მივდივარ კლასში“.

### **3. ინდივიდუალური მუშაობა**

სპეციალური მასწავლებელი ინდივიდუალურად მუშაობს მოსწავლესთან, რაც იწყება „ფიზიოლოგიური საჭიროებების დროს მოსწავლეების მიხედვით“, „ცალკე აკადემიური უნარების განვითარება“, „უფრო მეტად ჩაღრმავება, ვიდრე საგანზე ხდება ბავშვთან, წერაზე მუშაობა, ინტერესების შესაბამის აქტივობების შერჩევა, თამაში, თუ საგაკვეთილო პროცესში ჩართვა, შეჩვევა და წესების განმარტება“.

### **4. სასწავლო პროცესის მონიტორინგი**

სასწავლო პროცესის მონიტორინგი მოიცავს მოსწავლის დაკვირვებას გაკვეთილზე, მონიტორინგის წარმოებას, ჩართულობის გაგებას, კლასთან შესაბამისობის დაფიქსირებას, მოსწავლის ინტეგრაციას.

„კლასში ვარ და იქაც რა თქმა უნდა მთელი სიფაქიზით, რომ ბავშვმა არ იგრძნოს თავი უხერხულად იქ რომ ხარ და მასწავლებელსაც მივცეთ შესაბამისი განმამტკიცებლები, რომ მოუნდეს ისევ მუშაობა“.

### **5. რეკომენდაციები და ანალიზი**

რეკომენდაციის გაცემა მნიშვნელოვანი კომპონენტია სპეციალური მასწავლებლის საქმიანობაში. ის დაკავშირებულია მოსწავლის შეფასებასთან, შედეგების ანალიზთან და იმავდროულად გულისხმობს სკოლაში არსებული

რესურსებისა და უნარების გააზრებას. რეკომენდაციის მიცემისას მიიღება გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რა შეიძლება გაკეთდეს სასკოლო სივრცეში და რა როლი უნდა ჰქონდეს ამა თუ იმ მასწავლებელს და მშობელს.

## 6. მედიატორობა

*„ბავშვს თუ ქცევის დარღვევა აქვს, უნდა ჰქონდეს მხარდაჭერა მის მიმართ, რომ მოწესრიგდეს ეს ყველაფერი. ერთ-ერთ ბავშვთან დაკავშირებით, სტატუსი მე მგონი არ აქვს და ის, რომ არ აქვს, ეგეც სპეც. პედაგოგის პრობლემაა“.*

*„ერთი გვყავს ქცევითი დარღვევით, მაგრამ მშობელი კომუნიკაციაზე საერთოდ არ მოდის, ან თუ მოდის ჩხუბით მოდის. მულტი-დისციპლინური გუნდის დასკვნით, ფსიქიატრიც იყო, კვირაში ორჯერ უნდა იაროს და სოც. მუშაკის ჩართვაც რომ გვინდოდა ისეთი მდგომარეობაც არის. ხშირ შემთხვევაში მშობლებს ჰგონიათ, რომ თავდაცვის მდგომარეობაში უნდა იყვნენ, არ ვიცი ხან სპეც. პედაგოგს ერჩიან, ხან მასწავლებელს, ოღონდაც რაღაცისგან იცავენ“.*

ამ დრო სპეციალური მასწავლებელი უნდა „ასრულებდეს მხარდამჭერის ფუნქციას ხომ ეხმარებოდეს მოსწავლეს და მასწავლებელს და მშობელს, რომ კომუნიკაცია შედგეს“.

## 7. მასალის ადაპტირება

*„ახლა ჩემთან ერთი ბავშვია, რომელსაც მხედველობის პრობლემა ჰქონდა და სისტემატურად სჭირდებოდა შრიფტის გაზრდა, გაზრდილი შრიფტით უნდა მიაწოდო მასალა, იმდენი თემა იყო და იმდენი მასალა იყო გასაკეთებელი, ხშირია საკონტროლოს გასამარტივებელი სამუშაოები“.*

## 8. სასკოლო კლიმატი

„სპეც. მასწავლებლებსაც უნდა ევალებოდეს სკოლის ჯანსაღ ბავშვებსაც ესაუბრონ სსსმ ბავშვებზე, რომ შევაცვაროთ და ვასწავლოთ მათთან ურთიერთობა, მათ მშობლებსაც. წაუკითხონ ლექცია არა შეზღუდვების მომენტზე, არა შეცოდებაზე, რომ იყვნენ მიმღებლები. დამყარდეს ჯანსაღი ურთიერთობები, თუმცა არსებობს შეხედულება, რომ „არ მუშაობს, რომ ცნობიერება ამაღლდეს ბავშვებთან, პედაგოგებთან“, “ასევე სპეც. მასწავლებელმა უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ უსაფრთხოდ იყვნენ ბავშვები“.

### 9. კოორდინირება

კოორდინირება გულისხმობს სპეციალური მასწავლებლის, მოსწავლის, მშობლის და ყველა საგნის პედაგოგის ჩართულობას, შეფასების შემდეგ ერთობლივ დაგეგმვას და გაკვეთილის პროცესში მონაწილეობას. „როდესაც თვითონ დააორგანიზა მულტი-დისციპლინური გუნდის შეკრება სკოლაში, საგნის მასწავლებლები, რატომღაც არ ველოდი მისგან, ეს იმიტომ, რომ ყველა საგნის პედაგოგი ესწრებოდა, ინდ. გეგმაც გააკეთეს და გამაცნეს და ბავშვთან მუშაობენ ფაქტია.“

გუნდური მუშაობის დროს ხდება როლების განაწილება. გუნდის არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია არსებობდეს ადამიანი, რომელიც უძღვება პროცესს და ანაწილებს დროსა და ფუნქციებს ჩართული სპეციალისტების მიხედვით.

„აუცილებელია, პროცესის მსვლელობისას სპეც. მასწავლებელს, საგნის მასწავლებელსა და, რა თქმა უნდა, მშობელს შორის, მოხდეს ძალიან დაწვრილებითი ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა და ეს იყოს ხშირი“.

### 10. თანამშრომლობა

თანამშრომლობის ფუნქცია ყველაზე მეტად არის აღწერილი. შესაბამისად, ბევრ კომპონენტს მოიცავს და საერთო საქმიანობისათვისაც მნიშვნელოვანია,

როგორც შიდა სასკოლო თემთან, განათლების სხვა უწყებებთან, ასევე სხვა დამხმარე რგოლებთან.

**მშობლებთან კომუნიკაცია,** გულისხმობს სსსმ მოსწავლის და „ჩვეულებრივი“ მოსწავლის მშობლებსაც. *“ეს არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, მაგრამ ყველა შემთხვევაში რა თქმა უნდა არ ხერხდება. სპეც. მასწავლებელი რაც არ უნდა ცდილობდეს, არის შემთხვევები, როცა მშობლიდან იგივე არ მოდის, რაც არ უნდა უჩიჩინო. არიან მოსწავლეები, რომლებიც მშობლის გარეშე ვერ მოდიან სკოლაში და მათთან თავისთავად გიწევს ყოველდღიური ურთიერთობა, მაგრამ არიან მოსწავლეები, რომლებიც არ მოჰყავთ მშობლებს და ამ შემთხვევაში ძალიან რთულია მოიყვანო“;* „მარტო სპეც. მასწავლებელი ვერაფერს შეძლებს თუ არ იქნა მჭიდრო თანამშრომლობა სკოლასა და მშობელს შორის. ეს იწვევს მასწავლებლის მოტივირებას და ბავშვი უფრო ჩართულია“.

**დამოკიდებულების ჩამოყალიბება:** *“ზოგადი განწყობა მშობლების არის უარყოფითი, ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლა სათანადოდ ვერ მუშაობს“* და ეს სპეციალური მასწავლებლის მოვალეობაა.

**პროცედურების განმარტება:** *„სპეც. მასწავლებელმა ასე დაიწყო, რომ ინკლუზიური განათლების თაობაზე უნდოდა ჩემთვის აეხსნა რაღაცები, რა პროცედურებია“.*

**ინფორმაციის მოძიება და მიწოდება:** *„მშობელმა უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი შვილის წინსვლისთვის და რასაც აკეთებინებს მასწავლებელი, ის მეუბნება“.* *“კმაყოფილი ვარ, ვსაუბრობთ, ვეკითხები ბავშვის მდგომარეობას, პროგრესი აქვს თუ არა, სტაბილურია თუ არა ბავშვი“.* *“არ ახდენენ დემონსტრირებას, რომ ბავშვთან მუშაობა მიდის. პედაგოგები არ იწუხებენ ამით თავს დაფასთან გაიყვანონ ბავშვი და მეც არ მასწრებენ გაკვეთილზე“.*

**მშობლის პრიორიტეტების, სურვილების და მითითებების მოსმენა:** *„ყოველთვის ვითხოვ, რომ ბოლომდე იჯდეს გაკვეთილზე, გარდა იმისა, რომ იქიდან*

ცოდნას იღებს თვითშეფასება უმაღლდება, ის რომ გადის ბავშვი, დემონსტრირებას ახდენს თავისი ცოდნის. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ არა მარტო უთხრა რას აკეთებ შენ, ან კლასში რას აკეთებს ეს მოსწავლე, არამედ რეკომენდაცია გაუწიო და „როლ მოდელიც“ იყო როგორ იმუშაოს მოსწავლესთან სახლში. იმიტომ რომ მე ამ რაღაცაზე ვმუშაობ და მოდი შენც ამაზე, ამ მიმართულებით იმუშავე, იმიტომ რომ ზოგჯერ არის, რომ შენ რაღაცა სხვა კუთხით გეგმავ აქ მეცადინეობას, მერე მშობელი სულ სხვა რაღაცას აკეთებს“.

**მასწავლებელთან თანამშრომლობა** გადამწყვეტია და ყველა ფუნქციის შესრულებასთან არის დაკავშირებული. ეს არის კოლეგიალობა და თანამშრომლობა საგნის მასწავლებლებთან, მაგრამ ზოგჯერ ზუსტად აქ იგრძნობა ხოლმე ხიდ-ჩატეხილობა მასწავლებელსა და სპეციალურ მასწავლებელს შორის.

„სპეც. პედაგოგებზე დგას ინკლუზიური განათლება, იმიტომ რომ ჩვენ იმდენ რამეს განვიცდით, იმდენ რაღაცაზე მოგვიჩვენებს ბრძოლა, მე არ დამავიწყდება პედ. საბჭოზე რა მოხდა და როგორ გაგვლანძღეს, ჩემი კოლეგა მიწასთან გაასწორეს. თან როგორ აქვთ იცი?! რაღაცა შეთქმულებასავით აწყობენ ერთმანეთში ლაპარაკობენ“.

როდესაც არ ხდება ინფორმაციის ორმხრივი გაცვლა, თანამშრომლობაც ფერხდება. სპეციალურმა მასწავლებელმა შეიძლება იცოდეს რა ხდება კლასში იმის ხარჯზე, რომ გაკვეთილზე შესვლის საშუალება აქვს, ხოლო საგნის მასწავლებელი არ იყოს ინფორმირებული იმის თაობაზე თუ რა ხდება რესურს ოთახში. სპეციალურმა მასწავლებელმა კონსულტაცია უნდა გაუწიოს და აჩვენოს, როგორ უნდა იმუშაოს სხვადასხვა საგნების პედაგოგმა ბავშვთან.

„ცალკე უნდა მოვახდინო მასწავლებლის გაძლიერება, ინდივიდუალური გეგმის შედგენაში დახმარება, ისე გუნდში მუშაობა, დედასთან ურთიერთობა, იმიტომ რომ არ შეიძლება სპეც. პედაგოგმა ინდივიდუალურად, დამოუკიდებლად იმუშაოს, მაღალი კლასის პროფესიონალიზმი სწორედ გულისხმობს გუნდურ მუშაობას“- აცხადებს სპეციალური მასწავლებელი.

თანამშრომლობაში ვლინდება სხვა რგოლების მონაწილეობის უზრუნველყოფის საჭიროება, კავშირი მულტიდისციპლინურ გუნდთან. სკოლის შიგნით ინტეგრირებული კლასების სპეცებ.-სა და საჯარო სკოლის სპეცებ.-ს შორისაც საერთოდ არ არის კომუნიკაცია, ანუ ინტეგრირებული კლასის და რესურს ოთახის სპეციალურ პედაგოგებს შორის, სამინისტროსა და სკოლებთან. აქ არის სამმაგი კავშირებიც: სპეციალური პედაგოგი შუამავალივითაა მასწავლებლებსა და საგნის მასწავლებელს შორის.

*„... გამოიყო 10 ფუნქცია, რომელსაც სპეციალური მასწავლებელი ასრულებს. კერძოდ, ესენია: ბავშვის დაკვირვება და შეფასება, გეგმარება, ინდივიდუალური მუშაობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგი, რეკომენდაციები და ანალიზი, მედიატორობა, მასალის ადაპტირება, სასკოლო კლიმატი, კოორდინირება და თანამშრომლობა“.*

კვლევის ჩატარებისას გამოვლინდა სკოლის მხრიდან სამინისტროსთან პირდაპირი კავშირის საჭიროება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ახლის შეთავაზება ხდება სკოლისათვის. „*მე ვფიქრობ, რომ როცა ახალი იქმნება, უნდა მოდიოდეს და გითხრას, რომ აი ეს ასე არის. ტელეფონზე რეკვებით არ გამოდის. ტელეფონზე სამჯერ დავრეკე, მიწერ-მოწერა მქონდეს, რამდენჯერ მივწერე და რამდენჯერ შევაწუხე, მერე მე რომ ვერ ვიგებ, ის საგნის მასწავლებელიც საერთოდ ვერ იგებს. მივდივარ და რაღაცას ვუხსნი, მერე კიდევ მივდივარ და ასე კი არ ყოფილა თურმე ესე ყოფილა. რეალურად უნდა ხდებოდეს ამ ზედამხედველობის წარმოება, რომ ბავშვი არ დაზარალებს და საბოლოო ჯამში, იმიტომ რომ სისულელები არ დაიწეროს, თუნდაც ინდ. გეგმაში და შეფასებაში. კავშირი უნდა იყოს თუ გვინდა ჩვენ ხარისხიანი მუშაობა. შენს ზემოთ ვინც დგას და ვინც კურირებს ამ ყველაფერს, უნდა იყოს მჭიდრო კავშირში. მგონია, რომ ამის გარეშე ყველაფერი წარმოუდგენელია და არანაირ ხარისხზე არ უნდა გვქონდეს პრეტენზია“.*

გამოდის, რომ სპეციალური პედაგოგი უფრო კომუნიკატორია და მისი წარმატება სკოლაში სწორედ ამ უნარის სწორად გამოყენებაზე დგას.

### *საკადრო რესურსების სიმცირე და მათი ცვლა*

საკადრო რესურსებთან დაკავშირებით რესპოდენტებისაგან რამდენიმე სახის ჩივილი ისმის, კერძოდ, კადრების სიმცირე ან მათი არარსებობა, დაბალი კვალიფიკაცია, ხშირი ცვლა და სისტემის უუნარობა დაინახოს სხვა ტიპის დახმარების საჭიროება.

სკოლაში სპეციალური მასწავლებლის არ ყოლა და მოსწავლის ინდივიდუალური გეგმის არარსებობა ყველაზე უკიდურესი მდგომარეობაა. სხვა სკოლების შემთხვევაში გვესმის, რომ „ეს ხალხი ამასობაში, გამოიცვალა და სრულიად ახალი ინკლუზიის სპეციალისტები მიიღეს“, ან კიდევ უფრო რთული ვითარებაა, როდესაც მშობელი აღნიშნავს, რომ „ორი წყება მასწავლებლები ისე გამოიცვალა, ბავშვი არ შეუფასებიათ“, „უკვე მესამე სპეც. მასწავლებელს ვიცნობთ“. ამ დროს მშობლები ხედავენ სისტემის უსუსურობას და აღნიშნავენ, რომ „სრულიად ახლები იყვნენ, პირველად ნახეს და საჭიროებებს არ იცნობდნენ და ახლა მე იმათ ვერ დაველოდებოდი“.

რესპოდენტები მსჯელობენ შემდეგზე: „თუ არ ვცდები არის 36 თუ 37 და ამ ბავშვებიდან ყველა საჭიროებს სპეც. მასწავლებლის აქტიურ დახმარებას, უბრალოდ იმდენად არიან დატვირთულები, მაგრამ ძალიან კარგად აკეთებენ თავიანთ საქმეს და ასევე საჭიროა, რომ მოემატოს კადრი“. არსებული სირთულეების გამო, რეალურად ხდება კადრების გადინება, რაც ინკლუზიური განათლების დამანგრეველია. „ძალიან კარგმა სპეც. პედაგოგებმა დატოვეს სკოლა და სისტემა დარჩა სანახევროდ სპეციალისტების გარეშე, სპეციალისტებიც არა, ადამიანები, რომლებიც რა ვიცი, რა ფუნქციას ასრულებენ, ზოგმა არც იცის რას აკეთებს ზუსტად, არიან „საათებდაკარგული“ მასწავლებლები და ითავსებენ ამას“.

## *პერსონალური ასისტენტების საჭიროება და როლი*

საგანმანათლებლო სისტემაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვსაუბრობთ ინდივიდუალურ საჭიროებებზე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სხვა პერსონალი, რომელიც შეიძლება დასჭირდეს უსინათლოს, ეტლით მოსარგებლეს, ქცევითი, ინტელექტუალური, ფიზიკური და მრავლობითი სირთულეების არსებობის შემთხვევაში. მასწავლებლები უჩივიან, რომ „37 ბავშვი ცოტა არ არის... პერსონალური მასწავლებელი არ ყავთ, არ აქვთ ამის რესურსი“.

სკოლებში დგას ინდივიდუალური/პერსონალური ასისტენტის არსებობის საჭიროება. ამ სირთულის მოგვარების ორი ხერხი არის გავრცელებული: ერთ შემთხვევაში ეს არის სპეციალური პედაგოგის მიმაგრება ბავშვებზე. მშობელი აღნიშნავს, რომ „დ.-ს მართლა სჭირდება დახმარება, რომ არ ყავდეს სპეც. მასწავლებელი, ამდენი ხნის შრომა წყალში ჩაიყრებოდა. ამიტომ დირექტორი ამას ხედავს და თვლის, რომ უნდა შეუწყოს ხელი, ხედავს როგორ კარგად ვითარდება, ქცევები მოუწესრიგდა იმიტომ, რომ სკოლაში დადის და ბავშვებთან ერთად არის, ხედავს აკადემიური უნარები როგორ ვითარდება და ა.შ. ეს ყველაფერი თვითონ სკოლის ძალიან კარგი სახელია. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სკოლა ერთ-ერთი მოწინავეა ამ მხრივ, ერთ-ერთი კარგი მაგალითია თანამშრომლობის და იმის, როგორ უნდა შევუწყოს ხელი ინკლუზიის განვითარებას.“

მაგრამ რიგ შემთხვევაში სპეციალური მასწავლებლის ასისტენტად გამოყენება აკნინებს ამ პროფესიის წონასა და სტატუსს, იმის მსგავსად, როგორც ეს გადმოცემულია ომბუდსმენის ალტერნატიულ ანგარიშში: (შემთხვევა მ. კ.) „ხშირ შემთხვევაში სპეციალური პედაგოგი მხოლოდ ასისტირებას უწევს სსსმ მოსწავლეს გაკვეთილის პერიოდში. მას ძიძის ფუნქცია უფრო აქვს დაკისრებული...“.

მეორე შემთხვევაში, მშობლის მიერ ხდება დამხმარის, ძიძის, თუ პედაგოგის ჩართულობის დაფინანსება და სკოლაში შემოყვანა, რისთვისაც დგება



ადმინისტრაციასთან შეთანხმება: „დირექტორი დამეთანხმა, სასკოლო სივრცეში ჩემი ლ.-ს ასისტენტი დავუშვა.“

„დამატებითი კადრების საჭიროება ინდივიდუალურად უნდა დადგინდეს, ინდივიდუალური ასისტენტი, რომელიც გაკვეთილზე შეყვება და რაღაც ჩრდილის ფუნქცია ექნება ბავშვისთვის. მაგალითად, როდესაც ბავშვი გაკვეთილიდან გარბის, შემორბის, გაკვეთილი თავისთავად იშლება და იქ თუ ასისტენტი იქნება, ეს ყველაფერი ორგანიზებულად მოხდება, გამოყვება, გაყვება და სპეც. პედაგოგს არ მოუწევს მერე სირბილი ერთი ბავშვიდან მეორესთან. სწორედ ეს პირადი ასისტენტი დარბის ლ.-სთან ერთად. სხვა ბავშვებთან ერთად დაჭერობანას ასწავლის და ქმნის გარემოს, რომ სხვა ბავშვებმა ამასთან იურთიერთონ, იმიტომაცა იქ შესვენებაზე ბავშვებთან ურთიერთობა. ის, რასაც აკეთებს ამოვარდნილია ტიპიური პედაგოგის პოზიციდან.“

„არის შემთხვევები, როდესაც პერსონალურ ასისტენტი, ასრულებს „როლ მოდელის“ ფუნქციას, ზრდის ინკლუზიის მასწავლებელს ანუ სპეც. პედაგოგთან ერთად მუშაობს პედაგოგთანაც და აჩვენებს, როგორ უნდა იმუშაოს სპეც. პედაგოგმა და სხვადასხვა საგნების პედაგოგმა ბავშვთან“. ასეთი ტიპის გაძლიერება მშობლის მხრიდან მნიშვნელოვანია მისი შვილისათვის ინდივიდუალიზებული სასწავლო გარემოს შესაქმნელად. ამ დროს მშობელი აკეთებს ინვესტირებას, მაგრამ ეს არაფერს არ ასწავლის სისტემას და მშობლის მხრიდან აღებული ეს პასუხიმგებლობა სკოლის მხრიდან მის მოვალეობად აღიქმება. ინდივიდუალიზებული სასწავლო გარემოს შექმნის ფუნქცია სკოლის პროგრატივაცაა, ხოლო თუ ხდება მისი დელეგირება გარეშე პირთათვის, ეს ერთგვარად აკნინებს სპეციალური მასწავლებლის სტატუსს. მშობელი ამბობს: „რატო უნდა ვასწავლიდე ინდივიდუალურად ბავშვთან ურთიერთობას?! ეს ხომ იმის ბრალია, რომ მათ არ აქვთ ამის კომპეტენცია“.

ძირითადი გაკვეთილის მიღმა, საქართველოს რამდენიმე საჯარო სკოლაში არის ინტეგრირებული სამოდულო კლასები, სადაც შეიქმნა 1/1-ზე

მასწავლებელი/მოსწავლის რაციონის გამოყენების პრეცედენტი. *“აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეთა ინტეგრირებული კლასია და აქ მათი საჭიროებები იმდენად განსხვავებულია, რომ აუცილებელია მათი ინდივიდუალური ასისტირება ყველა გაკვეთილზე.”*

### **დამატებითი კომპეტენციის მოძიების საჭიროება**

შესწავლილი სკოლების უმეტეს ნაწილში აღნიშნავენ, რომ საჭიროებენ დამატებით ექსპერტიზას. თუმცა არსებობს მეორე უფრო მცირე ნაწილი, რომელიც ვერ ხედავს ასეთი მონაწილეობის საჭიროებას. სკოლები თავად ნაკლებად აქტიურობენ ამ მიმართულებით, მაგრამ ისინი მიყვებიან მშობლების სურვილს. *“პირადად ვთხოვე სკოლის დირექტორს, რომ სუპერვაიზერი დაესწრობოდა გაკვეთილზე და დააკვირდებოდა რატომ იქცევა ასე. რომ მოვიდა, გაარკვია რა იყო, როგორ იყო, მისცა რჩევები მასწავლებელს და ორ დღეში ეს პრობლემა მოგვარდა. ამიტომ დამატებითი სპეციალისტების ჩართვაც არის ძალიან მნიშვნელოვანი.”* *“უესტური ენის თარჯიმნის გარეშე ვერ დაამყარებს ლ. კომუნიკაციას. მასწავლებლებთან გაკვეთილებზე და სკოლასთანაც”* - აღნიშნავს მშობელი. ეს გამოცდილება სკოლაში სპეციალობათა მრავალფეროვნების ხელშეწყობის მნიშვნელობას ასახავს, რაც ნაკარნახევი იქნება ბავშვის და მისი სწავლების მეთოდური საჭიროებით, იქნება ეს სპეციალური მასწავლებელი თუ ვიწრო სპეციალიზაციის მქონე სპეციალისტი - ფსიქოლოგი, ქცევითი თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, ფიზიკური თერაპევტი, უესტური ენის თარჯიმანი, მობილობის მწვრთნელი თუ სხვა.

### **დამახმარე რესურსების მოძიების საჭიროება**

რესურსებთან მიმართებით რესპოდენტების პასუხები მიმართული იყო თვალსაჩინოებაზე, ადაპტირებულ მასალაზე, ტექნიკურ რესურსებსა და

მეთოდოლოგიის სიმცირეზე. ეს საკითხი არ წარმოადგენდა კვლევის მიზანს, თუმცა ადექვატური სასწავლო გარემო ინკლუზიური გარემოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია. ასეთი რესურსების არსებობა სწავლების პროცესს მეთოდურად გააზრებულსა და მასალით დაბალანსებულს ხდის, რითიც უზრუნველყოფს მოსწავლეების მონაწილეობას.

*„ზოგადი პრობლემაა სკოლებში რესურსების სიმცირე და ჩვენი სკოლაც ფაქტობრივად ცარიელია, რაღაცა განმავითარებელი სათამაშოები კი აქვთ, მაგრამ მაინც სკოლას რაც სჭირდება აკადემიური უნარების განვითარებისათვის, ეგ რესურსი არ აქვთ. მაგალითად, დამხმარე მასალა, რომ ახალ სიტყვაზე ჩართოს და რაღაცა აჩვენოს, იმიტომ, რომ ამისთვის მაინც მხედველობაა კარგი. აი კარგად ილუსტრირებულ წიგნს კარგად გეგულობს.“*

*„შესაქმნელია, ეს დამატებითი რესურსები, ვიდეო გაკვეთილები იქნება თუ სხვა რამე, არაფერი რესურსი არ არსებობს.“*

*„ვიჯექით მე, ჩვენი სპეც. მასწავლებელი და ძველი წიგნებიდან ვჭრიდით თვალსაჩინოებას. ათასნაირი ფულის ნიშნები გამოვჭერთ. სკოლას საშუალება არ აქვს რომ შეიძინოს ის რაც გვჭირდება, ადაპტირებული მასალა თუნდაც, რომ არაფერი ვთქვათ ტექნიკასა და ტექნოლოგიებით გაძლიერებაზე“. მიუხედავად იმისა, რომ ყველა შესწავლილ სკოლაში არის რესურს ოთახი, მშობლები მაინც ასახელებენ სკოლებში „ადგილის“ სიმცირეს. „ვერ ეტევიან ბავშვები იმდენი ყავთ“ - აცხადებენ ისინი.*

სკოლას არ გააჩნია შესაბამისი რესურსი ტრანსპორტირების პრობლემის გადასაჭრელად, ან ისეთი მარტივი საკითხის, როგორცაა სკოლის ტერიტორიაზე მანქანების შემოშვება გადაადგილების სირთულის მქონე მოსწავლის შემთხვევაში. *„ტრანსპორტი შეილო, ნუთუ ის გაუჭირდათ რომ უქირაონ?! 7000 დოლარი ღირს ამათი სპეც. ავტობუსები რომ არის, წინა რაც ყავდათ ის ვიღაცამ აჩუქა, 12 წელი ყავდათ და დაღპა ის. მარტო აქ კი არ არის საქმე, აი მოიყვანე ბავშვი ტაქსით, გინდა*

*შემოხვიდე ახლოს, კიბესთან მოაყენო, ვერ შემოდიხარ, იმიტომ რომ უცხო მანქანებია. იყვნენ ესენი წასულები, ჩამკეტი უნდოდათ გაეკეთებინათ და იმხელა თანხა ჯდება.“*

მატერიალური რესურსების მიღმა სკოლას აქვს მეთოდური დეფიციტი: *„მეთოდოლოგია არ აქვთ სკოლებს როგორ იმუშაონ, წერა-კითხვა როგორ ასწავლონ. მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოებიც არ არსებობს“*. საქმე ისაა, რომ ერთიან სტრატეგიულ გეგმაში ამოცანა N3 საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესებაში მოხსენიებულიც კი არ არის დამხმარე ტექნოლოგიებისა და უნივერსალური დიზაინის დანერგვის საკითხები. დამხმარე სახელმძღვანელოები ერთგვარი პირობაა სპეცილური მასწავლებლის მუშაობისათვის, მაგრამ სასწავლო გარემოს პრაქტიკაში უფრო ფართო ცნებაა. საგანმანათლებლო გარემო ძირითადად დაკავშირებულია სწავლების ხერხებთან და მათ ხარისხთან, მეთოდოლოგიურ და საკადრო რესურსებთან. გარემოს გაუმჯობესება შესაძლებელია, როცა სკოლის საქმიანობის პარალელურად მიმდინარეობს სწავლების არსებული ტექნოლოგიების კვლევებზე დაფუძნებული გაუმჯობესება.

რესურსების მობილიზაციისათვის *„კარგი იქნება, რომ მშობლის ცნობიერებაზე და უნარების გაძლიერებაზე ტარდებოდეს ბევრი აქტივობა, ტრენინგები, სხვადასხვა ღონისძიებები იმისთვის, რომ მშობლის უნარები გაძლიერდეს, მას ცოდნა მიეწოდოს. ზოგჯერ მშობელს არა აქვს ეს კონკრეტული ცოდნა, რაც აფერხებს ბავშვის წინსვლას.“*

---

## **სპეციალური მასწავლებლის მომზადების/გადაამზადების პროცესი და ეტაპი**

### **დასაქმებული სპეციალური მასწავლებლები რა განათლების არიან?**

ჩვენ მიერ გამოკითხული სპეციალური მასწავლებლები სხვადასხვა კვალიფიკაციის არიან. მათი ნაწილი არის შესაბამისი ფორმალური განათლების,

აქვთ ხარისხი სპეციალურ ან ინკლუზიურ განათლებაში ან დეფექტოლოგიაში. სხვა პროფესიათა შორის ქარბობს ფსიქოლოგია, რაც კარგ ვარიანტად მიიჩნევა ამ პროფესიის მიმართ არსებული ნდობიდან გამომდინარე. ჩამონათვალში გვხვდება ჰუმანიტარული თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერების ბაკალავრები, ქართული ენისა და ხელოვნების მასწავლებლები, ამავდროულად განათლების ადმინისტრირების ბაკალავრებიც და მაგისტრებიც. კვალიფიკაციათა ასეთი მრავალფეროვნება მიგვანიშნებს, რომ ამ სფეროში დასაქმებული კადრების განათლება ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. შესაბამისად, არ არის მოულოდნელი, რომ გამოკითხვის მონაწილეთა უმრავლესობა დასაქმებული სპეციალური მასწავლებლების შესაბამისი კვალიფიკაციისა და განათლების არქონაზე მიუთითებს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის\_2008 წლის მონაცემების თანახმად გამოკითხულ მასწავლებელთა 86%-ს აქვს უმაღლესი განათლება; გამოკითხულთაგან 9 მასწავლებელს დამთავრებული აქვს ლოგოპედ-სურდოპედაგოგიკა; 2 ლოგოპედ - დეფექტოლოგია; რამდენიმე არის ტიფლოპედაგოგი; მასწავლებელთა ძირითადი ნაწილი არის საგნის მასწავლებელი. გამოკითხულთა 53% აღნიშნავს, რომ გავლილი აქვს სპეციალური ტრენინგები და კურსები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების და აღზრდის საკითხებში. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ მხედველობის, სმენის და მეტყველების დარღვევის მქონე მოსწავლეების სკოლაში არის სპეციალური მასწავლებლები, სხვა სკოლებში ძირითადად დასაქმებულნი არიან საგნის მასწავლებლები. რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ დამთავრებული აქვთ ე.წ. დეფექტოლოგიის ფაკულტეტი<sup>6</sup>.

---

<sup>6</sup> კვაჭაძე ჟ., არავიაშვილი მ. 2009, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი;

*„კვალიფიკაციათა ასეთი მრავალფეროვნება მიგვანიშნებს, რომ ამ სფეროში დასაქმებული კადრების განათლება ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. შესაბამისად, არ არის მოულოდნელი, რომ გამოკითხვის მონაწილეთა უმრავლესობა დასაქმებული სპეციალური მასწავლებლების შესაბამისი კვალიფიკაციისა და განათლების არქონაზე მიუთითებს“.*

### **რა უნდა იცოდეს და შეეძლოს სპეციალურ მასწავლებელს?**

*„შევჯერდეთ იმაზე, რომ სპეც. მასწავლებელს უნდა ქონდეს უმაღლესი სპეციალური განათლება, რომ სსსმ მოსწავლეებთან მიდგომები იცოდეს. გაწონასწორებული იყოს, იცნობდეს პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის ელემენტებს, ინკლუზიური განათლების პრინციპებს, ეხმარებოდეს სკოლის საგნის მასწავლებლებს სსსმ მოსწავლის ჩართვაში საგანმანათლებლო პროცესებში, ანუ უნდა ჰქონდეს ის კომპეტენციები, რომ დაეხმაროს ბავშვს ნებისმიერ გაკვეთილზე, საგანში მისი ინდ-გეგმით გაწერილი მიზნების შესაბამისად, როგორ ჩაერთოს იმ აქტივობებში რაცაა მისთვის გაწერილი“.*

მშობლების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია სპეციალური პედაგოგის განათლება. ისინი უნდა ფლობდნენ მოსწავლეთა სწავლების შესაბამის ცოდნასა და უნარებს. ეს ცოდნა უნდა ეყრდნობოდეს ამ ბავშვების მიმართ მიმდებლობას და საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ მუშაობისას მიხვდნენ და გაიგონ “რა აკლიათ, რომ რაღაცა არ გამოსდით, აი ამისთვის ან დამატებითი ცოდნა როგორ უნდა ეძიონ“.

### **მომზადების რა ფორმებია ცნობილი სკოლის თემისათვის?**

რესპოდენტები გამოყოფენ სფეროში მომზადების სამ შესაძლებლობას. ეს არის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური მასწავლებლის საბაკალავრო პროგრამა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამა.

რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ „საუნივერსიტეტო სწავლებისას, პრაქტიკა უნდა იყოს თეორიული ცოდნის პარალელურად“.

სკოლაში სპეციალური მასწავლებლის პოზიციის დასაკავებლად სპეციალიზებული ტრენინგების გავლაა სავალდებულო, რომელსაც სთავაზობს მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. ცენტრი სთავაზობს სხვადასხვა ტრენინგებს, როგორც ზოგადი ნაწილის შესაბამისს, ასევე უფრო სპეციალიზებულს, მაგალითად ჟესტურ ენის, ბრაილის შრიფტის. ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება ტრენინგების შეთავაზება, კერძოდ, ქცევის მართვაში, მეორე ინდ-გეგმის წერაში და სხვა.

„სპეციალურ მასწავლებლად შეიძლება დასაქმდეს უმაღლესი განათლების მქონე ნებისმიერი ადამიანი, რომელიც წარმატებით გაივლის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების 8 კრედიტიან ტრენინგს - შესავალ კურსს სპეციალურ პედაგოგიაში (120 საკონტაქტო საათი თეორიული და პრაქტიკული ნაწილი და ასევე ინდივიდუალური კონსულტირება თითოეული მონაწილისთვის). კურსი განკუთვნილია ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისთვის და მათ მინიმალურ ბაზისურ ცოდნას და უნარებს აძლევს სპეციალური პედაგოგიკის შესახებ. როგორც ინკლუზიური განათლების სპეციალისტები, ისე უშუალოდ სპეციალური მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ პროგრამა ძალიან კარგი და პრაქტიკულია, მაგრამ მისი ხანგრძლივობა საკმარისი არ არის. ეს ტრენინგი არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სპეციალური მასწავლებლები ზემოაღნიშნული სტანდარტის შესაბამისად იყვნენ მომზადებული<sup>7</sup>“.

*„ადამიანები გადიან ამ გრძელ სპეც. კურსს, თუმცა ყველა ვერ, დიდი მომლოდინეთა სიის გამო. იწყებენ სპეც. მასწავლებლად მუშაობას, მივესალმები ამასაც, რადგან, ჯერ სახელმწიფოს კადრი არ ჰყავს საჭირო რაოდენობის. ეს*

---

<sup>7</sup> ჭანტურია რ., გორგოძე ს., ჩხაიძე თ., მოსიაშვილი თ. და ს. ჯანაშია. 2016;

*გრძელვადიანი ტრენინგები ძან კარგია, მაგრამ მანდაც პრობლემაა, ვინც გაიარა ეს და გამოცდა ვერ ჩააბარა, სერტიფიკატი ვერ აიღო, მაინც აგრძელებს სკოლაში მუშაობას, მაშინ აზრი ეკარგება მაგას ხომ? ხოდა... პრობლემა არის, სისტემაც ხედავს პრობლემას, ჩვენც ვხედავთ, ის ვერ უშვებს იმიტომ, რომ ჩამნაცვლებელი არა ყავს, და რეალურად, ზარალდება სკოლა და ბავშვი“.*

უწყვეტი განათლების გააზრებისათვის მნიშვნელოვანია მოხდეს სპეციალური მასწავლებლის კომპეტენციის განსაზღვრა და დარგობრივი მახასიათებლის დაზუსტება საკვალიფიკაციო ჩარჩოში. ეს დაზუსტება დაკავშირებულია სპეციალური მასწავლებლის სტანდარტთან და სტანდარტის შესაბამისად მჭიდროდ არის გადაბმული დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადებასთან.

ამჟამად სპეციალური მასწავლებლის შესახებ ჩარჩოში არსებული ჩანაწერი შეეხება მაგისტრატურის საფეხურს. თუმცა ასეთი პროგრამის არსებობის მიუხედავად, ის ვერ ანიჭებს სპეციალურ მასწავლებელს მასწავლებლის ხარისხს. საკვალიფიკაციო ჩარჩოში მასწავლებელთან გათანაბრებული მომზადება მას უნდა აძლევდეს სპეციალობის მოპოვების შესაძლებლობას უკვე ბაკალავრის საფეხურიდან. ხოლო სწავლების მომდევნო საფეხურზე უნდა შეიქმნას ვიწრო სპეციალიზაციაზე მიმართული კონცენტრაციები.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური განათლების მაგისტრატურის პროგრამიდან ჯერ მხოლოდ ორი გამოშვება იყო, სადაც სტუდენტების უმრავლესობა დასაქმებულია, მაგრამ არა მხოლოდ სკოლაში. ეს ვითარება შეესაბამება სისტემაში შექმნილ რეალობას, რადგან „როდესაც დაამთავრებს უნივერსიტეტს და დაიწყებს სამსახურს, მისი თვითური ანაზღაურება იქნება 280 ლარი. მისთვის ეს არასოდეს არ იქნება მიმზიდველი, იმიტომ, რომ, ხელფასს რომ თავი დავანებოთ, მას არ ექნება, როგორც მასწავლებელს, განვითარების შესაძლებლობა. იმიტომ რომ, როგორც ვიცით ეს სპეც. მასწავლებლების სტატუსი



განსაზღვრული არ არის და ისინი არც მასწავლებლის პროფესიული განვითარების საკითხში არიან მოაზრებული“.

აქედან გამომდინარე, სპეციალურ მასწავლებლად მომზადება უნდა გამარტივდეს და გახდეს ხარისხიანი, რაც მეთოდურად უნდა გაძლიერდეს შესაბამისი კვლევებით და უფრო ზედა საფეხურზე არსებული ვიწრო სპეციალიზაციით.

*„უწყვეტი განათლების გააზრებისათვის მნიშვნელოვანია მოხდეს სპეციალური მასწავლებლის კომპეტენციის განსაზღვრა და დარგობრივი მახასიათებლის დაზუსტება საკვალიფიკაციო ჩარჩოში. ეს დაზუსტება დაკავშირებულია სპეციალური მასწავლებლის სტანდარტთან და სტანდარტის შესაბამისად მჭიდროდ არის გადაბმული დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადებასთან“.*

### **მონიტორინგის და ზედამხედველობის როლი მასწავლებლის განვითარებაში**

„გუნდი უნდა იყოს, ვინც მიდის ამ სკოლაში, სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ყოველდღე არ უნდა იჯდეს ერთი და იგივე სკოლაში, მაგრამ რუტინა უნდა ჰქონდეს და მუდმივად ფარავდეს იმას და რაც მთავრია, მუდმივად უნდა ასწავლიდნენ და ასეთი გზით პოზიტიური მონიტორინგი არსებობდეს, ნახულობდნენ, შეიქმნას ინდ. გეგმა, მერე ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი, ვინ ამოწმებს მერე ამას, თუ რომელიმე მხარე ძლიერია, რა არ არის კარგად გაკეთებული, აძლევენ მითითებას და რეკომენდაციებს და რაღაც პერიოდის შემდეგ მიდიოდნენ და ნახულობდნენ, თუ რეკომენდაციები როგორ არის შესრულებული.“ ამჟამად „მულტი-დისციპლინარული გუნდი მოდის და მარტო ის კი არ არის, რომ გეგმების მონიტორინგი გამიკეთო, მე უნდა გამაძლიერო, მითხრა რომ რაღაცეები აქ ასე გააკეთო.“

რესპოდენტები აცხადებენ: „ოთხი წელი ვისწავლე ინკლუზიურ განათლებაზე, მე რომ მაგისტრატურა არ გამეგლო, ის ოთხი წელი იქნებოდა წყალში ჩაგდებული. თუ მაგისტრატურის შემდეგაც არ განვითარდი, ეს ჩემი მაგისტრატურაც ჩავა სადღაც ქვემოთ“.

„მაქვს მაგისტრატურა დამთავრებული, მაგრამ როცა სკოლაში ვარ და ვმუშაობ, არ ვიცი რამდენად სწორად ვაკეთებ რაღაცას, ამიტომ ესეც მნიშვნელოვანია, რომ ვილაცისგან მიიღო უკუკავშირი. შეცდომებს ყველა ვუშვებთ. რაღაცეებში თვითონ მივხვდი, რომ აქ რაღაც შეცდომა დავუშვი, რაღაცეები მე თვითონ ვცდილობ გამოვასწორო, მაგრამ ვილაცა მეთვალყურე, რომ მყავს და მეუბნება, აი ამ დარღვევაზე უმჯობესია რომ ესე გააკეთო, ესე იმუშავო. მაგალითად, ჰიპერაქტივობის და ყურადღების დეფიციტით მყავდა ბავშვი, მაგ დროს არ ვიცოდი როგორ მემუშავა, მერე გავიარე ვთქვათ ტრენინგი, მერე ვისწავლე როგორ დავუგეგმო დღე და ა.შ. მაგრამ უკუკავშირს რომ არავინ გაწვდის ძალიან ცუდია“.

„გვინდა პროფესიონალი კადრი, რომელიც არ დაჯერდება, რომ მხოლოდ საბაკალავრო დაამთავროს ან სამაგისტრო და მორჩა, განვითარება არ უნდა შეწყვიტოს, ჩვენი სპეც. მასწავლებელი დადის ყველგან, ესწრება ყველაფერს, ასე უნდა იყოს მუდმივად განვითარებაზე ორიენტირებული“.

2015 წლის 19 თებერვალს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“. სქემის ამოცანაა მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ინტეგრირებული სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიის პრესტიჟის ზრდას, საუკეთესო ახალი კადრების მოზიდვას, არსებული პედაგოგების კვალიფიკაციისა და მოტივაციის ამაღლებას. ამ სქემაში სპეციალური მასწავლებელი საერთოდ არ არის გათვალისწინებული. ეს კი,

როგორც სპეციალური მასწავლებლები აღნიშნავენ, გარკვეულწილად მათ დემოტივაციას იწვევს<sup>8</sup>.

### *სტატუსი და ანაზღაურება*

*„ხშირად გვაქვს შეგრძნება, რომ ჩვენ ტექნიკური პერსონალი ვართ“ – აცხადებენ სპეციალური პედაგოგების ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები. აღნიშნავენ იმასაც, რომ დისკრიმინირებულად გრძნობენ თავს და მაგალითისთვის მოჰყავთ ის ფაქტი, რომ მათი საშვებულებო პერიოდი 24 დღეა, რაც თითქმის ორჯერ ნაკლებია სხვა მასწავლებლის შვებულებასთან შედარებით. ეს კი იმ ფონზე, როცა მათი ხელფასი მასწავლებლის საშუალო ხელფასს მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება. პედაგოგთა ანაზღაურებადი შვებულება არის არანაკლებ ორი თვე (40 სამუშაო დღე). წყარო: განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“.*

*ამ შემთხვევაში რესპოდენტები თანხმდებიან, რომ „ამ მასწავლებლების სტატუსის განსაზღვრაა მნიშვნელოვანი, რომ მიეცეთ პროფესიულად განვითარების საშუალება, რაც შესაბამისად აისახება კიდევ ხელფასებზე, რადგან მოხალისედ მთელი ცხოვრება ვერავინ ვერ იმუშავენ და არც აქვს ამის ვალდებულება.“ „ამჟამად სასაცილო ხელფასები აქვთ ამ სპეც. მასწავლებლებს და ძალიან შრომატევადია მათი სამუშაო.“*

სპეციალური მასწავლებლის მასწავლებელთან გათანაბრება და აღიარება დაკავშირებულია სისტემის გარდაქმნასთან. ასეთ ცვლილებას მოჰყვება სპეციალისტების ხარისხის ზრდაც, რადგან ერთი მხრივ „სპეც. მასწავლებელს უნდა

---

<sup>8</sup> ჭანტურია რ., გორგოძე ს., ჩხაიძე თ., მოსიაშვილი თ., ჯანაშია ს., (2016);

<sup>9</sup> ჭანტურია რ., გორგოძე ს., ჩხაიძე თ., მოსიაშვილი თ. და ს. ჯანაშია. 2016;

*ჰქონდეს მოტივაცია იმისა, რომ პროფესიულად გაიზარდოს. მე ვიცი ბევრი მასწავლებელი თუნდაც არ მიდის ტრენინგზე, იმიტომ რომ მაინც 280 ლარია და მისთვის ეს არაფერი არ არის. მასწავლებლების სქემა რომ იყოს დავფიქრდებოდი, რომ რაღაცას რომ გავაკეთებ, მერე ასე იქნება, ჩემი პროფესია, მერე ეს დამემატება, რაც წინსვლას ასახავს. ახლა კი სისტემა მიგანიშნებს, რომ თუ არ გინდა წადიო..“*

არსებობს მოსაზრება, რომ სპეციალური მასწავლებლები ჩვეულებრივ მასწავლებლებთან არ უნდა იყვნენ გათანაბრებული. მათ უნდა ჰქონდეთ მეტი და განსხვავებული ხელფასები. აქვე დგება სპეციალურ სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის ორმაგი სპეციალიზაციის საკითხი, რაც სქემაში უნდა იყოს ასახული. იგულისხმება ის კადრი, რომელიც მაგალითად, ასწავლის საბუნებისმეტყველო საგანს სმენის სირთულის მქონე მოსწავლეების სკოლაში.

*„სახელმწიფო პოლიტიკა უნდა იყოს ისეთი, რომ... ორივე მხარემ რა, მშობელმაც უნდა დააფასოს და სახელმწიფომაც. რაღაცნაირად მისი ფუნქციები და როლი უნდა გავიაზროთ კარგად, და დავაფასოთ თუნდაც იმითი, რომ კარიერაში შეეძლოს წინსვლა, მეტი ანაზღაურება ჰქონდეს, ზოგჯერ მშობლებსაც მეტის დაკისრება უყვართ ხოლმე და მთელი პასუხისმგებლობა მათზეა. რაღაცნაირად ყველამ უნდა შევუწყოთ ხელი რა და პირველ რიგში, მშობლებმა უნდა მოვთხოვოთ სამინისტროს, რომ ეს ადამიანები დაფასდნენ. ჩვენზე კარგად მათი როლი არავინ არ იცის“.*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მასწავლებლებისთვის ხელფასებისა და დანამატების ახალი მოდელის შექმნას გეგმავს (ჩხენკელი, მ.2018). ეს მნიშვნელოვანია, რადგან მასწავლებლები ამბობენ, რომ „სახელმწიფოს დახმარება და გვერდში დგომა აუცილებლად მოტივაციის ასამაღლებლად გვინდა, მასწავლებელთა სტატუსის მონიჭება და სქემის შექმნა - ეს ჩვენთვის, სპეციალური მასწავლებლებისთვის, ამის პარალელურად მშობელთა

*რგოლის და მასწავლებლის გაძლიერება. ასევე აუცილებელია უკუკავშირი და დამატებითი რესურსების მხრივაც დიდი დახმარება გვჭირდება.“*

**ბოლოსიტყვაობა:**

„ვისურვებდი რომ სპეცები გარკვეულიყვნენ, შესაბამისი ამბიციები და მეტი პასუხისმგებლობა აეღოთ თავის თავზე და მეტი ესწავლათ.“



### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021;
2. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი;
3. „საქართველოს 13 სპეციალიზირებული პროფილის მქონე სკოლის (შემდეგში სპეციალური სკოლის) სიტუაციური ანალიზი და სკოლის და მასწავლებლების საჭიროებების კვლევა“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, ჟანა კვაჭაძე, მაია არავიაშვილი. 2009 წელი;
4. „ინკლუზიური განათლების პრაქტიკა საქართველოში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ (განათლების ნაწილის) შესრულება ალტერნატიული ანგარიში“, ჭანტურია რ., გორგოძე ს., ჩხაიძე თ., მოსიაშვილი თ. დაჯანაშია ს., (2016);
5. ჩხენკელი მ., 09-01-2018, <http://www.etaloni.ge/geo/main/index/5703>.